# სარბიელი

სპორტული გაზეთი | ხუთშაბათი 23 სექტემბერი 1999 №182 (955) | ფასი 50 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა

## განზე დაგვრჩა ევროპა

წუხელ საქართველოს თვრამეტწლამდელთა ნაკრებმა მეორე მატჩიც წააგო. ქართველთა იმედი, კვლავაც მოხვედრილიყვნენ ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე, იტალიელებმა შეიწირეს.

ჩვენებურები უელსის ქალაქ ბერიში 1:2 დამარცხდნენ. გოლი, წინა მატჩის არ იყოს, სკონტოელმა ცეზარ ხუროძემ გაიტანა, ამჯერად მაშინ, როცა 0:2 აგებდნენ.

ბოლო წუთზე ქართველთა მეკარე ჟიული ჯოლოხავამ პენალტი მოიგერია.

მეორე მატჩში შვეიცარიამ 1:0 მოუგო უელსს.

8

## ბერლუსკონი ისევ ევროლიგას მოითხოვს

მისი აზრით, დღევანდელი ჩემპიონთა ლიგა ერთობ გადამღლელია

8

## რეფერენდუმი საქართველოს საუკუნის სპორტსმენები

წარმოგიდგენთ ლაურეატებს



რომან რურუა

12 13

EURO LEAGUE

## გუშინ ევროპის საკლუბო კალათბურთის მთავარი ტურნირი დაიწყო

ევროლიგის 1999-2000 წლების გათამაშებაში მონაწილეობას მიიღებენ...

15

## რუსთაველებმა სტუმრად ნაკლები წააგეს

## ბკ კიევი 90:72 აზოტი

საქართველოსთვის მორიგი ევროსეზონი დასრულდა



REUTERS რომიდან

ლაციო — დინამო 2:1. რომაელი ბოკშიჩის და კიეველი კალაძის ორთაბრძოლაში გამარჯვებულ ქართველს ხორვატი სარმით უმასპინძლდება

UEFA CHAMPIONS LEAGUE

| A ჯგუფი | |
|---|---|
| მარიბორი | 0 |
| ლევერკუზენი | 2 |
| ლაციო | 2 |
| დინამო | 1 |
| **B ჯგუფი** | |
| არსენალი | 3 |
| აიკ | 1 |
| ბარსელონა | 4 |
| ფიორენტინა | 2 |
| **C ჯგუფი** | |
| დორტმუნდი | 3 |
| ბოავიშტა | 1 |
| რუსენბორგი | 2 |
| ფეიენოორდი | 2 |
| **D ჯგუფი** | |
| შტურმი | 0 |
| მანჩესტერი | 3 |
| კროატია | 1 |
| მარსელი | 2 |

იხილეთ მეორე გვერდი

# ბარსა 4 ფიორე 2



REUTERS ბარსელონიდან

ბარსელონა — ფიორენტინა 4:2. ფლორენციელი პრედრაგ მიატოვიჩი და ბარსელონელი უინსტონ ბოგარდი (მარჯვნივ) ბურთისთვის ამხტარან

# შტურმს შვარცნეგერმაც ვერ უშველა

## ჩემპიონთა ლიგა. მეორე ტური




შტურმი — მანჩესტერი 0:3. შტურმელ ივიცა ვასტიჩს (№10) მანჩესტერელთა მეკარე ვან დერ გოუმ აჯობა

**კახა კალაძის** ჩახვეული საჯარიმო დარტყმა რომაელთა მეკარე მარკო ბალოტამ ძლივს მოიგერია. „დინამომ" კი ანგარიშის გახსნის ნაღდი შანსი დაკარგა. ეს ყველაფერი „ლაციო" — კიევის „დინამოს" მატჩის 44-ე წუთზე მოხდა, მას შემდეგ, რაც კალაძე — რებროვის კომბინაცია მასპინძლებმა უხეშობით შეაჩერეს. უკრაინელებისთვის ამ თამაშის წაგება ლამის ჯგუფში ჩარჩენის ტოლფასი იყო და აკი გაიტანეს კიდეც პირველი გოლი. 67-ე წუთზე კონოვალოვის წაქცევისთვის დანიშნული პენალტი სერგეი რებროვმა ზუსტად გამოიყენა. მაგრამ თითქოს ამას ელოდნენო და „ლაციომ" მომდევნო ოთხ წუთში ორჯერ დალაშქრა შოვკოვსკის კარი. 2:1 და დინამოელთა პერსპექტივა ერთობ ბუნდოვანი გახდა.

ამავე A ჯგუფში, კერკეტი „მარიბორი" კიევური სენსაციის გამეორებას აპირებდა, ყოველ შემთხვევაში ამას ამბობდა მატჩამდე მასპინძელთა მწვრთნელი ბოჟან პრაშნიკარი. „ლევერკუზენმა" კი ყველაფერი თავის ადგილზე დააყენა. თუმც ამისათვის კრისტოფ დაუმის ფეხბურთელებს გვარიანი ოფლისღვრა დასჭირდათ. გერმანელებმა ბოლო რვა წუთში გატეხეს სლოვენიის ჩემპიონი 0:2.

B ჯგუფში ტურის ერთ-ერთი მთავარი შეხვედრა გაიმართა. „კამპ ნოუზე" „ბარსამ" „ფიორენტინა" დაიბრიყვა 4:2. მეათე წუთისთვის კატალონიელები უკვე ორ ბურთით იგებდნენ. ლუიშ ფიგუმ და ლუის ენრიკემ ეფექტური სოლო-გარღვევებით გაიტანეს. ამათი წვლილი „ბარსას" დანარჩენ ორ გოლშიც დიდი გახლდათ. მეორე ტაიმში რივალდომ ერთი ფიგუს წაქცევისთვის დანიშნული პენალტით შეაგდო, მეორე კი ლუის ენრიკეს პასით. იტალიელებს თამაშის გადარჩენის იმედი 50-ე წუთზე გაუჩნდათ, როცა კრისტიან ამოროზომ პირველი საპასუხო გაიტანა და ანგარიში მინიმუმამდე (1:2) შეამცირა, მაგრამ „ბარსელონა" ამ საღამოს შეუჩერებელი გახლდათ და ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, რომ მოენდომებინათ, ერთ ამდენს კიდევ გაიტანდნენ. ქულათა მაქსიმუმით კატალონიელები ჯგუფის ერთპიროვნული ლიდერები არიან.

ჯგუფის მეორე მატჩში „უემბლიზე" ლონდონის „არსენალმა" ბოლოსლა მოახერხა შვედური აიკ-ის გატეხვა. 90-ე წუთამდე ანგარიში 1:1 იყო. მსაჯის მიერ წამატებულ დროში კი ანრიმ და შუკერმა ორჯერ აჯობეს შვედთა მეკარე მატიას ასპერს 3:1.

C ჯგუფში, „რუსენბორგი" — „ფეიენოორდის" მატჩის გმირი ჩვენთვის კარგად ნაცნობი იონ კარეუ გახლდათ. ჭაბუკმა ნორვეგიელმა ორი ბურთი შეაგდო და თუ ტრონჰეიმელებმა თამაში ვერ მოიგეს, ეს იღბლისა და მსაჯის ბრალი უფრო იყო — 2:2.

D ჯგუფში ლიგის გამარჯვებული „მანჩესტერ იუნაიტედი" გრაცს სტუმრობდა. მატჩზე საგანგებოდ ჩავიდა „შტურმის" დიდი გულშემატკივარი არნოლდ შვარცენეგერი, რომელიც გრაცშია დაბადებული და გაზრდილი. ჰოლივუდელი „ტერმინატორი" გაზაფხულზეც ასე მოიქცა, ავსტრიის ჩემპიონატზე „შტურმის" გადამწყვეტი მატჩის წინ გასახდელში შესულა, ბიჭები გაუმხნევებია და ბიჭებსაც ჩემპიონობა მოუგიათ. შვარცენეგერი „შტურმის" მოთამაშეებზე მაგიურად მოქმედებსო — უთხრა ჟურნალისტებს კლუბის წარმომადგენელმა. ამიტომ, ადგილობრივებს „მანჩესტერთან" გამარჯვების იმედი ჰქონდათ და არნოლდ შვარცენეგერის სახელობის სტადიონზე, რომელიც 15 400 მაყურებელს იტევს 17 ათასი ქომაგი მივიდა. მაგრამ ის კი არ იცოდნენ, რომ ალისფერებს ტრავმამოშუშებული კაპიტანი როი კინი დაუბრუნდებოდათ. კინს თითქმის ერთი თვე აღარ ეთამაშა და დაბრუნება ღირსეულად აღნიშნა. მე-15 წუთზე დაახლოებით 25 მეტრიდან უძლიერესი დარტყმით ბურთი კაზიმეშ სიდორჩუკის კარში ჩაჭედა. მერე კი „მენიუს" შავების ჯერიც დადგა. ორი წუთის ინტერვალში იორკმა და კოულმა საბოლოო ციფრობრივი შესატყვისობა დააფიქსირეს 3:0. ასე რომ, „შტურმს" ტერმინატორმა არნოლდმაც ვერ უშველა.

„მარსელმა" ზაგრებში ბაკაიოკოს და პერესის გოლებით 2:1 მოუგო „კროაციას" და „ბარსელონასთან" და „პორტუსთან" ერთად წლევანდელ ლიგაში ქულადაუკარგავთა სამეული შექმნა.

**სოლომონ გულისაშვილი**

### A ჯგუფი

**ლაციო 2:1 დინამო**

0:1 რებროვი (67პ), 1:1 ნეგრო (69), 2:1 სალასი (71)

ლაციო: ბალოტა, ნეგრო, ფავალი, ნესტა, მიხაილოვიჩი, ნედვედი, ალმეიდა, სტანკოვიჩი (სალასი 52), ვერონი (ლომბარდო 81), ბოკშიჩი, მანჩინი (სიმეონე 74)

დინამო: შოვკოვსკი, გერასიმენკო (კონოვალოვი 46), გოლოვკო, ვაშჩუკი, დმიტრულინი, კალაძე, კორმილცევი (კოსოვსკი 46), გუსინი, ფიოდოროვი, შაცკიხი (ვენგლინსკი 83), რებროვი

მსაჯი: მანუელ დიას ვეგა (ესპანეთი)

**მარიბორი 0:2 ლევერკუზენი**

0:1 ჟივკოვიჩი (82), 0:2 კირსტენი (90)

მარიბორი: სიმეუნოვიჩი, ვუგდალიჩი, სესლარი, ჟიდანი, ჩიპი, დიურანოვიჩი, ბალაჯიჩი (დრაგუშა 84), გალიჩი, ფილეკოვიჩი (პრეგელი 52), ბოზგო, სიმუნძა

ლევერკუზენი: მატიშეკი, კოვაჩი, ნოვოტნი (რობსონ პონტე 70), ჟივკოვიჩი, გრეშკო, რამელო, შნაიდერი, ემერსონი, ბაინლიხი, ნოივილი (ტოასი), კირსტენი

მსაჯი: იან ვეგერეეფი (ჰოლანდია)

*29 სექტემბერი: ლაციო — მარიბორი, ლევერკუზენი — დინამო*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლევერკუზენი | 2 | 1 | 1 | 0 | 3:1 | 4 |
| ლაციო | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 4 |
| მარიბორი | 2 | 1 | 0 | 1 | 1:2 | 3 |
| დინამო | 2 | 0 | 0 | 2 | 1:3 | 0 |

### C ჯგუფი

**დორტმუნდი 3:1 ბოავიშტა**

1:0 მიოლერი (40), 1:1 რუი ბენტუ (44), 2:1, 3:1 ბობიჩი (53, 64)

დორტმუნდი: ლემანი, როიტერი, კოლერი, ევანილსონი, რიკენი, ადო (სტევიჩი 77), ნერლინგერი, დედე, რეინა (ნიეგუსი 88), ბობიჩი (ჰერლიხი 73), მიოლერი

ბოავიშტა: ბასეი, პაულო სოუზა, პედრო ემანუელი, ლიტუში, მარიო სილვა, როჟერიო (მარტელინიო 64), რუი ბენტუ, ატიენსა, ლუის მანუელი (ფორმოსო 44), აინფული (ესტევანი 71), ჟორჟე სიმონი

მსაჯი: ათანას უზუნოვი (ბულგარეთი)

**რუსენბორგი 2:2 ფეიენოორდი**

0:1 დალ ტომასონი (10), 1:1 კარეუ (21), 1:2 კალუ (22), 2:2 კარეუ (24)

რუსენბორგი: იამტფალი, ბერგდოლმო, ჰოფტუნი, ბრაგსტადი, იონსენი (ვესნესი 65), სტრანდი, სკამელსრუდი, ბერგი, სორენსენი, კარეუ, იაკობსენი (დალუმი 58)

ფეიენოორდი: დუდეკი, ბოსველტი, ვან ვონდერენი, კონტერმანი, ვან გასტელი, დალ ტომასონი, პაუვე, დე ვისერი, კალუ, კრუზი, ვან გობელი

*29 სექტემბერი: რუსენბორგი — დორტმუნდი, ბოავიშტა — ფეიენოორდი*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რუსენბორგი | 2 | 1 | 1 | 0 | 5:2 | 4 |
| დორტმუნდი | 2 | 1 | 1 | 0 | 4:2 | 4 |
| ფეიენოორდი | 2 | 0 | 2 | 0 | 3:3 | 2 |
| ბოავიშტა | 2 | 0 | 0 | 2 | 1:6 | 0 |

### B ჯგუფი

**ბარსელონა 4:2 ფიორენტინა**

1:0 ფიგუ (7), 2:0 ლუის ენრიკე (10), 2:1 ამოროზო (50), 3:1, 4:1 რივალდო (68პ, 70), 4:2 კიეზა (79)

ბარსელონა: ჰესპი, რაიციგერი, ბოგარდი, სერხი, რ. დე ბური, გვარდიოლა (ხავი 79), ლუის ენრიკე, კოკუ (ზენდენი 75), ფიგუ, კლუივერტი (დანი გარსია 61), რივალდო

ფიორენტინა: ტოლდო, რეპკა, პადალინო, ადანი, დი ლივიო, ჰაინრიხი, რუი კოშტა, კოისი, ამოროზო (კიეზა 56), მიატოვიჩი (ბალბო 86), ბატისტუტა (ამორი 76)

მსაჯი: კიმ ნილსენი (დანია)

**არსენალი 3:1 აიკ**

1:0 ლიუნგბერგი (28), 1:1 ნორდინი (53), 2:1 ანრი (90), 3:1 შუკერი (90)

არსენალი: მანინგერი, დიქსონი, კიოუნი, ადამსი, უინტერბერნი, ლიუნგბერგი (ანრი 69), ვიეირა, გრიმანდი (სილვინიო 57), ოვერმარსი (კანუ 69), ბერხკამპი, შუკერი

აიკ: ასპერი, კამარკი (კიოლო 46), ლიუნგი, ბრუნდინი, გუსტაფსონი, ო. ანდერსონი (კორნელიუსონი 89), ნორდინი, ტიერენსტორმი, ლაგერლოფი, ნოვაკოვიჩი (ასლუნდი 82), ა. ანდერსონი

მსაჯი: მანუელ მელო პერეირა (პორტუგალია)

*29 სექტემბერი: ბარსელონა — არსენალი, აიკ — ფიორენტინა*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბარსელონა | 2 | 2 | 0 | 0 | 6:3 | 6 |
| არსენალი | 2 | 1 | 1 | 0 | 3:1 | 4 |
| ფიორენტინა | 2 | 0 | 1 | 1 | 2:4 | 1 |
| აიკ | 2 | 0 | 0 | 2 | 2:5 | 0 |

### D ჯგუფი

**შტურმი 0:2 მანჩესტერი**

0:1 კინი (15), 0:2 იორკი (31), 0:3 კოული (33)

შტურმი: სიდორჩუკი, ნოიკირხნერი, ფოდა, მაელიხი (რაინმაიერი 75), შტრაფნერი, შუპი, ვასტიჩი, პრილასნიგი (კუცუპიასი 72), მარტენსი, ფელდჰოფერი (კორსოში 72), კოციანი

მანჩესტერი: ვან დერ გოუ, ირვინი, სტამი, ბექემი, კოული (სოლსკიაერი 76), ფ. ნევილი, კრუიფი (შერინგემი 68), კინი (უილსონი 62), სქოულზი, იორკი, ბერგი

მსაჯი: ალფრედო ტრენტალანგე (იტალია)

**კროაცია 1:2 მარსელი**

0:1 ბაკაიოკო (5), 1:1 შოკოტა (64), 1:2 პერესი (77)

კროაცია: ლადიჩი, ტოკიჩი (შოკოტა 46), იურიჩი, ტომაში, შარიჩი, იურჩიჩი, მუხსინი, ბისკანი, ცვიტანოვიჩი (მუმლეკი 46), რუკავინა (იელიჩიჩი 76), სიმიჩი

მარსელი: პორატო, პერესი, ისა, ბერიზო, ბლონდო (ბრანდო 52), ლუკინი, დალმა, პირესი, კეიტა (რავანელი 67), გალასი, ბაკაიოკო (დიავარა 86)

მსაჯი: სტეფანო ბრაში (იტალია)

*29 სექტემბერი: კროაცია — შტურმი, მანჩესტერი — მარსელი*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მარსელი | 2 | 2 | 0 | 0 | 4:1 | 6 |
| მანჩესტერი | 2 | 1 | 1 | 0 | 3:0 | 4 |
| კროაცია | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | 1 |
| შტურმი | 2 | 0 | 0 | 2 | 0:5 | 0 |




მარიბორი — ლევერკუზენი 0:2. სლოვენიელი გერი ჩიპი გერმანელ ბერნდ შნაიდერს (№25) ფეხებში ჩაუვარდა




რუსენბორგი — ფეიენოორდი 2:2. ნორვეგიელი იონ კარეუ და ჰოლანდიელი პოლ ბოსველტი (№16)

# რად გვინდა დებულება?

## ალუდა ქეთელაური მოკვეთეს

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სათავეში ახალი შემადგენლობის მოსვლამ ქართული ფეხბურთის გულშემატკივართ იმედი გაუღვივა. მას შემდეგ არცთუ მცირე დრო გავიდა, ყოველ შემთხვევაში, საიმისოდ საკმარისი, რომ ფეხბურთით დაინტერესებულმა კაცმა გარკვეული დასკვნები გააკეთოს. ამჯერად სფფ-ის ავ-კარგის გაზიარებას არ ვაპირებთ, მაგრამ ერთი რამ ნათელია. ჩვენის მხრივ სფფ-ს კარგი და საქმიანი ნაბიჯი ყოველთვის აღგვინიშნავს და, ბუნებრივია, ნაკლიც არ დაგვრჩენია უყურადღებოდ.

ამით ახალს ალბათ არაფერს ვიტყვი — სფფ-ს კრიტიკა არ აკლია.

რატომ ვაკრიტიკებთ სფფ-ს? ვშიშობ, აქ სიტყვა გვერდზე არ გამექცეს, ამიტომ მოკლედ ვიტყვი— სფფ-ს ვაკრიტიკებთ იმიტომ, რომ ქართულ ფეხბურთს კვლავაც მძიმე დროება უდგას. იმიტომ, რომ ისევ უსუსური და დავრდომილი (რა ნაცნობი სიტყვებია ქართული ფეხბურთისთვის) ჩემპიონატი გვაქვს, იმიტომ, რომ კვლავაც არ ირწევა (მეტიც, მგონი, დამრწევიც არავინ არის) ქართული ფეხბურთის აკვანი — ბავშვთა ფეხბურთი და, რაც მთავარია, იმიტომ რომ ჩვენს ნაკრებ-გუნდებს არანაირი პერსპექტივა არა აქვთ, შედეგი არ ჩანს, ხარისხი, ხარისხი არა აქვს ქართულ ფეხბურთს. ამიტაც ვაკრიტიკებთ სფფ-ს. და კიდევ ერთი, ზემოჩამოთვლილ მიზეზთა გარდა შედარებით „ასატანი“, მაგრამ კრიტიკისთვის მაინც საფუძვლიანი არგუმენტი — საკუთარი დებულების, მიღებული რეგლამენტის დარღვევა. სწორედ ამაზე შევაჩერებ დღეს თქვენს ყურადღებას.

გუშინ ფიზკულტურის აკადემიის რექტორის კაბინეტში სფფ-ს სადისციპლინო კომიტეტის მორიგი სხდომა გაიმართა. ვიდრე მასზე მოგითხრობდეთ, ერთს გეტყვით, სფფ-ს ახლანდელი შემადგენლობის მუშაობას უარყოფითთან ერთად დადებითი თვისებებიც ბევრი აქვს, რაც ცალკე წერილის თემაა და ამაზე შემდეგ იყოს (თუმც, ვიმეორებ, ყოველივე აქამდეც არაერთხელ აღგვინიშნავს). ზემოთ ის მიზეზები ჩამოვთვალე, რისთვისაც ჩვენი ფეხბურთის მმართველ ორგანოს ვაკრიტიკებთ. სფფ-ს კონტრარგუმენტის სახით ერთი დიდი კოზირი უჭირავს. ეს, ყბადაღებული (უფრო სწორად, ყადაღადადებული) ფეხბურთის ფედერაციის ანგარიშია. რაც მართალია, მართალია, საგადასახადო ინსპექციის მკაცრი გადაწყვეტილება ქართული ფეხბურთის წისქვილზე ნამდვილად არ ასხამს წყალს. სახელმწიფო ქართულ ფეხბურთს ვერაფრით ეხმარება, მაგრამ რატომღაც მგონია, რომ ყადაღადადებული ანგარიშით მართლაც დიდი კოზირი უჭირავს ფედერაციას. ღმერთმა ინებოს, ეს წყეული ყადაღა მალე მოხსნილიყოს, მაგრამ არა მგონია, ამით სფფ-ს კრიტიკა მოაკლდეს. რატომ? იმიტომ რომ ამ შემთხვევაში უკოზიროდ დარჩება. ეს ჩემი სუბიექტური აზრია. ნეტავ, ვცდებოდე, მაგრამ... დღესაც, ბევრ შემთხვევაში უკოზიროდ რჩება სფფ, რადგან არანაირი ყადაღადადებული ანგარიში არ არის იმის მიზეზი (ყოველ შემთხვევაში, წესით არ უნდა იყოს), რომ წამდაუწუმ დაარღვიო დებულება, შენივე მიღებული რეგლამენტი.

...კიდევ ერთხელ დაირღვა დებულება, მაგრამ ამაზე ქვემოთ იყოს, ჯერ სადისციპლინო კომიტეტის სხდომას მივყვეთ...

დასაწყისში შედარებით ადვილი საკითხები მოილიეს. მსგავს ფაქტებს სტკ უკვე თითქმის ავტომატურად აგვარებს. 18 სექტემბრის „მერანი“ — „კოლხეთის“ თამაშზე ედიშერ ალადაშვილმა წითელი ბარათი დასტყუა მთავარ მსაჯს და შედეგად ერთი მატჩით მოუწევს დასვენება. ამასთან „მერანი“ 50 ლარსაც შეელევა. იგივე სასჯელი დაუწესდა „მრეტები“ — „ცხინვალის“ მატჩში გაძევებულ ტუღუშსაც. გაძევება ძვირად დაუჯდა კობა თავაძეს. „მეგრი“ — „ბახმაროს“ შეხვედრაში სტუმარ ფეხბურთელს მსაჯ შალამბერიძის გინება არ აპატიეს და თავაძე სამი მატჩით ჩამოაშორეს ჩემპიონატს, ბახმაროს კი 150 ლარის გაღება მოუწევს.

დ. ხულების მთელი რიგი დარღვევები სდევდა თან „იბერია“ — „გორდას“ მეხუთე ტურის შეხვედრას. არ გამართულა მატჩისწინა მიტინგი, ოქმის შევსებაში მონაწილეობა არ მიუღიათ პოლიციისა და სახანძრო სამსახურის წარმომადგენლებს და თავად ოქმიც სტუმარმაც და მასპინძელმაც მოგვიანებით შეავსეს. შეხვედრა კი სულაც 33 წუთის დაგვიანებით დაიწყო. რუსთაველებს სრული უფლება ჰქონდათ 3:0-ით გამარჯვება მიეთვალათ და მშვიდად გამობრუნებულიყვნენ სამტრედიიდან, მაგრამ დიდსულოვნად დათანხმდნენ თამაშზე. სტკ-ზე მის გამო გაფრთხილება მისცეს სამტრედიის სტადიონს. გაფრთხილება მიეცა, ასევე მეორეჯგუფელ „ფაზისის“ სტადიონს. „ფაზისი“ — „სამგურალის“ 13 სექტემბრის მატჩზე მასპინძელთა გულშემატკივრებს სიტყვიერად დაუმუშავებიათ შეხვედრის არბიტრი. „თბილისი“ — „ვიტ ჯორჯიას“ ამასწინანდელ შეხვედრაში ბურდულს და კოტორაშვილს შელაპარაკება ძვირად დაუჯდათ. თითოეული მათგანი ორ თამაშს გამოტოვებს, შესაბამისად ისინი 100-100 ლარითაც დაჯარიმდნენ.

ახლახან მეორეჯგუფელებიც ჩაერთვნენ საქართველოს პირველობაზე და დისციპლინარებსაც საქმე-გასარჩევი მოემატათ. აგერ, ბატონო, გუშინდელ სტკ-ზე ოთხი „მძიმე“ საკითხი გავიდა და ოთხივე მეორეჯგუფელებზე მოდის.

18 სექტემბერს დუშეთის „არაგვი“ ხაშურის „ივერიასთან“ დამარცხდა 2:4.

დიდი ვაჟას ალუდა ქეთელაური გეხსომებათ. დავლათიანი კაცის სეხნია თამაშობს დღეს „არაგვში“. „ივერიასთან“ შეხვედრაში ზედმეტად გამოუჩენია თავი ალუდას, მანამდე ორი გოლის გამტანი ფეხბურთელი შეხვედრის მსაჯს წამოჰპარვია და სარმა დაუდვია. ხუციშვილს ქეთელაური წითელი ბარათით დაუჯილდოებია, თანაგუნდელს ნარიმანიძე გამოქომაგებია და შავოსანისთვის ლაზათიანი წიხლი მიუყოლებია... ნარიმანიძე 12 თვით მოიკვეთა ფეხბურთიდან და 1000 ლარით დაჯარიმდა, ალუდა ქეთელაურს კი პირველი წრის ბოლომდე აეკრძალა თამაში და 500 ლარის გადახდაც დაეკისრა. მიტკლის ფერი ჰქონდა სხდომაზე „არაგვის“ პრეზიდენტს. ამაო იყო მისი თხოვნა, დუშელებისთვის შეემსუბუქებინათ სასჯელი. ორი წამყვანი ფეხბურთელის დაკარგვას რომ თავი დავანებოთ, ახლადშექმნილ „არაგვს“ უთუოდ დიდ ტვირთად დააწვება 1500 ლართან შელევა.

დიდი არეულობა მომხდარა ჭიათურაში. „მაღაროელი“ გაგრის „დინამოს“ მასპინძლობდა. მსაჯის მოქმედებით აღშფოთებული მასპინძელთა მთავარი მწვრთნელი ამირან სევასტოპულო მოედანზე შევარდნილა, კახა მესხისთვის, მთავარი მსაჯისთვის, სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიუყენებია. დამრიგებელს არც მეკარე გველესიანი ჩამორჩენია, მესხისთვის ბურთი ჩაურტყამს თავში, გვერდით არბიტრ ლაშა სილაგავასთვის კი სილა გაუწნავს. გველესიანიც 12 თვით მოიკვეთა ფეხბურთიდან, მისი კლუბი 1000 ლარით დაჯარიმდა. სევასტოპულოს კი სასტიკი საყვედური გამოუცხადეს უკანასკნელი გაფრთხილებით და „მაღაროელს“ მისი გუნდიდან დათხოვნის რეკომენდაციაც მისცეს.

იგივე რეკომენდაცია მიეცა კლუბ „ალაზანსაც“. სტკ-მ სასტიკი საყვედური გამოუცხადა „ალაზანის“ მთავარ მწვრთნელს, მიხეილ ფურცელაძეს. მას „ალაზანი“ — „ლოკომოტივი 2“-ის მატჩის შემდეგ მატჩის მსაჯები უგინებია, ფურცელაძეს მამამისიც აჰყოლია (ეს ფაქტი ოქმშიც დაფიქსირებულა). ერთი რამ ნათელია, ამ შეხვედრაში მსაჯთა ბრიგადა საოცრად სუსტად გარჯილა, რაც სტკ-ზე მატჩის კომისარმა ზურაბ პეტრიაშვილმაც აღნიშნა.

ამ საკითხის მოსმენის წინ სტკ-ს თავმჯდომარემ, ომარ გოგიაშვილმა, ტრადიციას არ უღალატა, აბა, თქვენ იცით, მეჩქარება, კარგ შემთხვევაში შევხვედრილიყავითო — ჩაილაპარაკა და სხდომა დატოვა. გოგიაშვილის გარეშე უყარეს დისციპლინარებმა კენჭი „ალაზანის“ სარბიელის საკითხს. საბოლოოდ კახური კლუბის სტადიონი ერთმატჩიან დისკვალიფიკაციას გადაურჩა.

დაბოლოს — „ჭაბუკიანი“ — „არსენალი 2“.

ამ შეხვედრაში მატჩის მთავარ არბიტრს, რუსთაველ ინდუაშვილს მასპინძელთა კარის ხაზზე მოხტუნავე ბურთი ვერ დაუნახავს და, ბუნებრივია, ვერც გოლი დაუფიქსირებია. საქმეში გასარკვევად ინდუაშვილი გვერდით მსაჯთან, თბილელთან მისულა. თბილელს გოლიც დაუდასტურებია და იქვე ჩოჩქოლში უკნიდან გვარიანად მოხვედრია მუშტი ყელში. სწორედ ამან დამარტყაო — გაიშვირა ხელი თბილელმა სხდომაზე მოწვეული „ჭაბუკიანის“ მეორე მწვრთნელისკენ. მწვრთნელმა თავის მხრივ თავი იმართლა, როგორ გეკადრებათ, პირიქით, სიტუაცია განვმუხტე, თბილელისთვის თბილი სიტყვის მეტი არაფერი მითქვამსო. ისე, „ჭაბუკიანს“ მსაჯების ცემის გვარიანი გამოცდილებაც ჰქონია. თავის დროზე ჭაბუკიანში კრიჭაშვილი და ორდინიძეც გალახულან, ჰოდა, სტკ-მაც გუნდის მეორე მწვრთნელ სოსო მოდებაძეს სასტიკი საყვედური და გუნდიდან წასვლის რეკომენდაცია გაატანა. შეხლა-შემოხლა მატჩის შემდეგაც გაგრძელებულა. ბარჯისხევში მსაჯებს „ჭაბუკიანის“ გუნდის უფროსის მანქანა წამოსწევიათ, იქიდან კლუბის პრეზიდენტი გია მჭედლიძე(იგი პარლამენტარია) გადმოსულა და...

— ასე გვითხრა, თქვე უსირცხვილოებო, რატომ წაგვაგებინეთ თამაშიო. გუნდის პრეზიდენტმა პოლიტიკაც გაურია, ფედერაციიდან მოქალაქეთა კავშირმა გამოგაგზავნათ ჩემი დისკრიმინაციისთვისო — განაცხადა ინდუაშვილმა სხდომაზე.

კი მაგრამ, ეგ ყველაფერი ოქმში რად არ გიწერიათო, დაეკითხნენ შავოსანს დისციპლინარები. — მატჩის დელეგატმა გვითხრა, თამაშზე რაც მოხდა, ის დაწერეთო — დააგვირგვინა სათქმელი ინდუაშვილმა. ყოველივე კი იმის საფუძველიც გახდა, რომ სტკ-მ ჭაბუკიანის მატჩის დელეგატ-მსაჯების საკითხის განხილვა მსაჯთა კომიტეტს დაუთმო დიდსულოვნად.

არ გვინდა ასეთი პირველობა, ასე თუ გაგრძელდა მსაჯობა, აზერბაიჯანის ჩემპიონატში ვითამაშებთო, უთქვამთ განრისხებულ ჭაბუკიანელებს მატჩის შემდეგ.

დებულების დარღვევით დავიწყეთ და ამით დავამთავროთ. „რუსთავულ ფულთან“ დაკავშირებული სკანდალი გეხსომებათ. ჩვენი შეცდომა მხოლოდ ის იყო, რომ ამ საქმის სამზარეულოში ჩაგახედეთ ჟურნალისტებიო, გვითხრა ამას წინათ ფედერაციის ერთ-ერთმა ჩინოსანმა. ფედერაციამ მეორე შეცდომაც დაუშვა. მათ სამზარეულოში ჩახედვის პატივი ორიოდე დღის წინაც მქონდა. „სამეგრელო“ — „ლაზიკას“ II ტურის მატჩის ოქმში შავით თეთრზე იკითხება შეხვედრის დელეგატის შენიშვნა — სტადიონზე არ იყო შსს-ს წარმომადგენელი, არ იყო სახანძრო...

ესე იგი, შესაბამისად „ოფიციალური შეხვედრის“ ოქმიც არ შემდგარა, მატჩი კი მაინც ჩატარდა და საბოლოო ანგარიშიც დაფიქსირდა. ამაოდ ველოდი ამ საკითხის გატანას სტკ-ზე. კაციშვილს არ გახსენებია მერამდენედგზის დარღვეული დებულება. ამ ფაქტის გამო სფფ-ში ერთ-ერთ ჩინოსანს რომ დავეკითხე, სხაპასხუპით მომიგო, როგორ არა, იყვნენ პოლიციელები, ოღონდ გადაცმულები გამოცხადნენო... კმარა, ბატონებო, ერთი და იგივე დარღვევისთვის ერთს თუ ხელს აფარებთ, მეორეს ყურს რაღად უწევთ, ანაც საერთოდ რაღად გვინდა დებულება, ყადაღის არ იყოს, ისიც მძიმე ტვირთად დასწოლია ჩვენს ფეხბურთს.

**ბაატა ძვანტალიანი**



ბადრი ქეთელაურის ფოტო

„დინამოს“ ერთ-ერთი პრესკონფერენცია. აქ ყველაა ფეხბურთელების გარდა. ქომაგს კი ყველაზე მეტად ფეხბურთელი აინტერესებს

# ნუ დავამუნჯებთ დინამოს!

ამ დღეებში მორიგი ცნობა მოედო საფეხბურთო საქართველოს — ოთარ კორღალიძემ დინამოელებს მასმედიასთან ურთიერთობა შეუზღუდა. აუკრძალაო, უპრიანი იქნება, მაგრამ თვეში ან სულაც კვირაში ერთხელ პრესკონფერენციას გავმართავთო, განაცხადა „დინამოს“ მწვრთნელმა და ეს აკრძალვაზე მეტად შეზღუდვას ჰგავს.

ამ შემთხვევის რეციდივი ოთარ კორღალიძის „დინამოს“ სათავეში მოსვლისთანავე ვიგრძენით. ერთ-ერთ ახალბედა დინამოელს ინტერვიუს რომ გამოვთხოვდით — დაიცა, ოთარს დავეკითხოო — ასე გვიპასუხა. დაეკითხა და ინტერვიუ შედგა. მეორედაც, არ გაგვაწბილა კორღალიძემ, როცა ანჩაბაძესთან ინტერვიუს გამო ნებართვის აღება მოგვიხდა.

აქედან და კიდევ ბევრი სამიდან გამომდინარე, ოთარ კორღალიძე არ არის კაცი, ვინც მასმედიასთან ურთიერთობას ვერ აფასებს. იგი ფეხბურთელობის დროსაც და მერე მწვრთნელობის პერიოდშიც ჟურნალისტებს ორიოდე სიტყვას არ ამადლებდა, მაგრამ ახლა გაფრთხილდა, გაფრთხილდა და ამაში სიმართლეც შეიძლება დაინახო და ყურით მოთრეული ფაქტიც.

— ფეხბურთელები ხშირად ამბობენ იმას, რაც მათ არ ეხებათ — აბა, რა ფეხბურთელის საქმეა, მწვრთნელის კომპეტენციაზე ან კონკრეტული მატჩის ტაქტიკაზე საუბარი — თქვა კორღალიძემ და სადღაც რაღაცაში მართალიცაა.

მაგრამ არსებობს საკითხის მეორე მხარეც. ზემოთქმული ფეხბურთელის ბრალი უფროა, ვიდრე ჟურნალისტისა. თუ ფეხბურთელი არ იტყვის, ჟურნალისტი ვერ დაწერს და დღევანდელ საფეხბურთო საქართველოში ცოტა ჟურნალისტი მეგულება ვინც რაიმეს მოგონებას გარისკავს (ისედაც უკმაყოფილონი არიან ფეხბურთელები. აქაოდა, პრესის ბრალია ყოველივე, რაც ქართულ ფეხბურთში ხდებაო).

კორღალიძის ინიციატივა ინიციატივად, მაგრამ აქამდეც ჭირდა ფეხბურთელებთან ურთიერთობა. ზოგს რთული ხასიათი აქვს, ზოგს ძველი წყენა ჩაუდვია გულში, ზოგს ლაპარაკი არ უჭირს, მაგრამ იქამდე ვინ მიგიშვებს...

და იწერება პრესაში ათასგვარ დარაჯებზე, რომლებიც იცავენ სტადიონს, მინდორს, გასახდელს, მსაჯს, ფეხბურთელს, მწვრთნელს.

ამ დროს კი ყველას ავიწყდება მკითხველის ინტერესი, რომელსაც უფლება აქვს, გაიგოს ის, რაც ქართულ ფეხბურთში ხდება და საერთოდ არ აინტერესებს, ვის რა უბრძანა უფროსმა (მათ შორის მწვრთნელმაც).

ბოლოს და ბოლოს ფეხბურთიც, მწვრთნელიც, მოთამაშეც, მასმედიაც მკითხველის გულისთვის არსებობს და თუ მკითხველმა (იგივე ქომაგმა) ინტერესი დაკარგა, მაშინ ფეხბურთის არსებობასაც არ ექნება აზრი.

ეს ერთი და პრობლემას მაშინაც მოევლება, თუკი კორღალიძე და მის აზრზე მყოფი ხალხი მართლა შეძლებენ კვირაში, თუნდაც თვეში ერთხელ პრესკონფერენციის ჩატარებას.

უნდა ითქვას ამ პრესკონფერენციებზეც — ეს არ უნდა იყოს მხოლოდ ფედერაციის წარმომადგენლის თუ უკეთეს შემთხვევაში, მწვრთნელის პრესკონფერენცია, მას ფეხბურთელებიც უნდა დაესწრონ და არ მოხდეს ის, რაც ადრე მომხდარა, როცა „დილმის ბაზაზე ჩიტიც ვერ ჩაფრინდებოდა-ხოლმე“.

საკითხავია ისიც, როგორ შეცვლის პრესკონფერენცია ინტერვიუს — ეს ხომ სულ სხვადასხვა რამეა. პრესკონფერენცია პრესისთვისაა, ინტერვიუ კი მკითხველისთვის, ქომაგისთვის პრესკონფერენცია მართლა კითხვა-პასუხია და მეტი არაფერი, კარგი ინტერვიუ კი უფრო საუბარი გახლავთ.

ჟურნალისტის და ფეხბურთელის (მწვრთნელის, ჩინოსნის) საუბარი.

**ლუკა თალაკვაძე**

# ნატროშვილი საუკეთესოა

საბერძნეთის ჩემპიონატის პირველი ტური ქართველთა ყურადღებას თუ კიდევ იქცევდა, ძირითადად პაოკ — აეკ-ის მატჩით.

საინტერესო იყო რას მოუხერხებდა „ტორპედოს“ ოდენ 0:1 მძლეველი აეკი „ლოკომოტივის“ 0:7 გამნადგურებელ პაოკ-ს. გუშინდელ „სარბიელში“ დაწვრილებით გამცნეთ უეფას თასის ოცდამეთორმეტედფინალში ქართული კლუბების მეტოქეთა მატჩი 4:4 რომ მორჩა.

დღეს კი კიდევ ერთ მატჩზე მოგახსენებთ, რომელშიც ბერძნულ ლიგაში ახალაღზევებულმა „პანახაიკმა“ და მისმა ქართველმა ნახევარმცველმა გოდერძი ნატროშვილმა ითამაშეს.

„პანახაიკმა“ მშობლიურ ქალაქ პატრაში „იონიკოსს“ უმასპინძლა და 1:1 დაუზავდა. პატრელები აგებდნენ, მაგრამ ქართველის წამოწყებული ერთ-ერთი კომბინაცია გოლით დაასრულეს. 42-ე წუთზე ნატროშვილმა საჯარიმოს ცენტრში მიაწოდა თანაგუნდელ კოპერტინოს, რომლის დარტყმული „იონიკოსის“ მეკარე სტრაკოშამ მოიგერია, გადმოვარდნილი ბურთი კი ვუკჩევიჩმა გაიტანა.

ბერძნულმა პრესამ ნატროშვილი, რომელმაც შეუცვლელად ითამაშა, ორივე გუნდიდან საუკეთესო მოთამაშედ დაასახელა, ნიკეელთაგან კი მედიამ ალბანეთის ნაკრების მეკარე ფოტო სტრაკოშა გამოყო.

**ლუკა თალაკვაძე**

# მთავარი პრობლემა — ეროვნული ნაკრები

## შესარჩევი ეტაპის წინ მინიფეხბურთელებმა ჯერაც არ იციან, იშოვიან თუ არა სამგზავრო ფულს

სამი დღეა, მინი-ფეხბურთში საქართველოს მეექვსე ჩემპიონატის მეორე წრე დაიწყო. პირველი ზაფხულში გაიმართა, მასში რვა გუნდმა მიიღო მონაწილეობა. მათგან ერთი, ზესტაფონის „ორნატი“ კი უსახსრობის გამო მეორე წრის წინ გამოეთიშა ჩემპიონატს. გათამაშებასაც შვიდი გუნდი შემორჩა — მარადი ჩემპიონი ბაღდათის „ბასი“, თბილისის „ქორები“, თბილისის „ლოკომოტივი“, ჭიათურის „მაღაროელი“, სოხუმის „ცხუმი“, თბილისის „ვერა“ და დამოუკიდებელი უნივერსიტეტი „აჭარა“. მინი-ფეხბურთის ასოციაციის ხელმძღვანელთა გადაწყვეტილებით, მონაწილე გუნდებს „ორნატთან“ მოპოვებული ქულები ჩამოაკლდათ (ზესტაფონელებმა ყველა მატჩი წააგეს). ჩემპიონატს ვერც ჭიათურის „მაღაროელი“ გააგრძელებდა დეპუტატობის მაჟორიტარი კანდიდატი მამუკა კობახიძე რომ არა.

ამჟამად ჩემპიონატს „ბასი“ ლიდერობს, ბაღდათელებს კვალში „ქორები“, „ლოკომოტივი“ და „მაღაროელი“ მიჰყვებიან. მეორე წრის შემდეგ პირველ-მეოთხე ადგილზე გასული გუნდები პლეი ოფში შეხვდებიან ერთმანეთს და ჩემპიონსაც ისე გაარკვევენ.

გუშინ მეორე წრის მესამე ტურის მატჩები შედგა, რომლის დასრულების შემდეგაც საქართველოს მინი-ფეხბურთის ასოციაციის პრეზიდენტმა გურამ დურგლიშვილმა და ვიცე-პრეზიდენტმა კახა დევდარიანმა პრესკონფერენცია გამართეს. საუბარი ძირითადად ასოციაციის პრობლემებს შეეხო, თუმცა ცოტა ახალი და კარგიც ითქვა.

— ჩვენი მთავარი საწუხარი მძიმე ფინანსური მდგომარეობაა, თუმც დიდი წვალების შედეგად მაინც ვახერხებთ ჩემპიონატის ჩატარებას. წლეულს რაიონის გუნდებიც მონაწილეობენ, რამაც პირველობას ეშხი შემატა. სამწუხაროდ, ფინანსების უქონლობის გამო ჩემპიონატს გამოეთიშა ზესტაფონის გუნდი. დიდი სურვილის მიუხედავად, იგივე მიზეზით ვერ შეძლეს თბილისში ჩამოსვლა ქუთაისისა და ბათუმის გუნდებმა — აღნიშნა პრესკონფერენციის დასაწყისში გურამ დურგლიშვილმა. შემდეგ კი მთავარ პრობლემაზე — ეროვნულ ნაკრებზე ისაუბრა.

— ოქტომბერში 2000 წელს გვატემალაში გასამართი მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის კენჭისყრაა. შესარჩევი მატჩები იანვარ-თებერვალში გაიმართება. ამის გარდა მომავალი წლის სექტემბერში ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩებიც გველის. ასე რომ, 2000 წელი საქართველოს მინი-ფეხბურთელთა ნაკრებისთვის საკმაოდ გადატვირთულია, ამ დროს კი ასოციაციას ფაქტობრივად არანაირი მატერიალური სახსრები არ აქვს. ისიც არ ვიცით, შევძლებთ თუ არა შესარჩევი შეხვედრების ჩასატარებლად გამგზავრებას. ამას წინათ იტალიაში წასვლის საკითხიც ბოლო წამს გადაწყდა. არადა, ჩვენს ნაკრებს მართლაც დიდი პოტენციალი აქვს. ამას ისიც მოწმობს, რომ ამჟამად ევროპის რეიტინგში მეათე ადგილზე ვართ და ოდნავ უკეთესი პირობები რომ გვქონდეს, უკეთეს პოზიციაზეც ვიქნებოდით.

ჩვენი შემოსავლის ერთადერთი წყარო უეფაა. ეს ორგანიზაცია საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში ყოველწლიურად რიცხავს 270 ათას შვეიცარიულ ფრანკს, რომელიც ჩვენს გარდა ბავშვთა და ქალთა ფეხბურთსაც უნდა მოხმარდეს. თუმცა ფედერაციის ანგარიშს, მოგეხსენებათ, ყადაღა ადევს და ამიტომ კუთვნილ თანხას ვერ ვილებთ.

ნაკრებს შესარჩევი ეტაპებისთვის, ბუნებრივია, სათანადო მომზადება სჭირდება, ამისთვის კი საერთაშორისო ამხანაგური მატჩების ჩატარება აუცილებელია. უსახსრობის გამო, ალბათ, ვერავის ვესტუმრებით, ამიტომ ევროპის ხუთი ქვეყნის (საფრანგეთი, უკრაინა, ჩეხეთი, იტალია, რუსეთი) ნაკრები საქართველოში მოვიწვიეთ. პასუხს უახლოეს მომავალში ველოდებით.

მოგეხსენებათ, ნაკრებში ოთხი ლეგიონერი გვყავს, რუსეთში თამაშობენ ანდრო მიზანდარი, ბესიკ ზოიძე და ზაალ ჩიტალაძე, ხოლო უკრაინაშია ალექს სარქისიანი.

პრობლემა შეგვექმნება იმით, რომ დიდ ფეხბურთს დაუბრუნდა დავით სოლოღაშვილი, გეცოდინებათ, ბოლნისის „სიონში“ თამაშობს, თუმცა იმედს არ ვკარგავთ, რომ იგი ჩვენს დახმარებასაც შეძლებს. მინი-ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაცია პროფესიონალ ფეხბურთელებს მინი-ფეხბურთის ტურნირში თამაშს არ უკრძალავს.

თანხების უქონლობის მიუხედავად, გულხელდაკრეფილნი არ ვზივართ და მომავალზეც ვფიქრობთ.

ახლახან მინი-ფეხბურთის ბავშვთა სკოლა ჩამოვაყალიბეთ, სადაც ამჟამად 30 მოზარდი ირიცხება. ჩვენ ამ ბავშვებს დიდ მოედანზეც ვავარჯიშებთ, თუ რომელიმეს დიდ ფეხბურთში მოხვედრის პერსპექტივა გაუჩნდება, არ დავიჭერთ, პირიქით ხელსაც შევუწყობთ. ფაქტობრივად ექსპერიმენტული სკოლაა.

ასოციაციის ხელმძღვანელებმა სამომავლო გეგმებიც გაგვანდეს. მათ მართლაც სასიკეთო საქმეების კეთება განუზრახავთ, თუმცა ფაქტი ერთია. ამ გეგმების რეალურად განხორციელება ძალიან გაჭირდება, რადგან ამისთვის ისევ და ისევ ფინანსებია საჭირო, რომელიც ჯერჯერობით არ ჩანს და დღევანდელ მდგომარეობის გათვალისწინებით, ალბათ, კიდევ დიდხანს არ გამოჩნდება. თუმცა ვინ იცის...

**ვანო ოქროპირიძე**



გიორგი ქინქლაძეს საფიქრალი არ ელევა

# შეფილდ იუნაიტედი გიორგი ქინქლაძეში დიდ ფულს იხდის

## ქართველი ძალიან ძვირი ჯდება, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ იგი ფანებს გადაგვირევს — ამბობს შეფილდ იუნაიტედის მწვრთნელი ადრიან ჰითი

„აიაქსის“ ქართველი ნახევარმცველის, გიორგი ქინქლაძის მსურველი ინგლისური კლუბების: „ევერტონის“, „პორტსმუთის“, „მანჩესტერ სიტის“ და „ლიდს იუნაიტედის“ სიას გუშინ ინგლისის პირველი დივიზიონის კიდევ ერთი წარმომადგენელი — „შეფილდ იუნაიტედიც“ შეემატა.

„ძალიან ძვირი გვიჯდება ქართველი, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ იგი გადარევს ფანებს და გადატრიალებას მოახდენს „ბრომენ ლოუნზე“ — განაცხადა გუშინ „შეფილდ იუნაიტედის“ 38 წლის თავკაცმა ადრიან ჰითმა.

ჰითმა მეტად უსახელო „შეფილდ იუნაიტედი“, რომელიც შორეულ 1889 წელს დაარსდა, წლეულს ჩაიბარა. აქამდე მას გუნდის თავკაცად არ უმუშავია. სხვადასხვა დროს იყო „ბარნსლის“, „ევერტონის“ და „სანდერლენდის“ მწვრთნელის ასისტენტი. ადრე კი „ევერტონში“, ესპანეთის „ესპანიოლში“, „ასტონ ვილასა“ და „მანჩესტერ სიტიში“ თამაშობდა.

ჰითმა ქინქლაძის ინგლისელ აგენტთა ჯგუფს სარფიანი წინადადებით მას შემდეგ მიმართა, რაც წინა კვირას „ლიდსის“ მენეჯერის დევიდ ოლირის ინტერესი ქართველი ნახევარმცველისადმი რამდენადმე დაეცა. „ლიდსმა“ ქინქლაძის აგენტებთან მოლაპარაკება შეაჩერა და საქმე ერთის მხრივ პორტუგალიის „პორტუსთან“ დაიჭირა ბრაზილიელი ჟარდელის შესაძენად, მეორეს მხრივ კი რომის „ლაციოსთან“ დაიწყო მოლაპარაკება ხორვატი თავდამსხმელის ალან ბოქშიჩის თაობაზე.

„შეფილდ იუნაიტედი“ წლევანდელ პირველობაზე (ისევე, როგორც საერთოდ) დიდი წარმატებებითა და ამბიციებით ვერ დაიკვეხნის. გუნდი ინგლისის პირველ დივიზიონში რვა ტურის შემდეგ მე-16 ადგილზეა. ბოლო ტურში „იუნაიტედმა“ შინ „ჩარლტონთან“ 1:2 წააგო. გუშინწინ კი თასის გათამაშებასაც გამოეთიშა. ჰითის ლომები მეორედივიზიონელმა „პრესტონმა“ დაჯაბნა — 3:0.

ადრიან ჰითს გუნდში 6 ლეგიონერი ჰყავს: ჩრდილოირლანდიელი მეკარე დავისონი, ავსტრალიელი მცველი მერფი, ბრაზილიელი თავდამსხმელი მარსელო, რომელიც წლეულს „ალავესიდან“ აიყვანეს, ბელარუსის ნაკრების წევრი პეტრე კაჩურო და ორი ბელგიელი — სმიტსი და გაისბრეხტი.

აღსანიშნავია, რომ „შეფილდმა“ წლეულს გაყიდა სარეკორდო თანხად შეძენილი კევინ დევისი, რომელიც ქინქლაძესთან ერთად გასული სეზონის 8 ყველაზე დიდ იმედაგცრუებაში მოხვდა.

სანამ ქინქლაძის აგენტებს მიმართავდა, ჰითმა დაიწუნა მარსელის „ოლიმპიკის“ განელი მცველი არტურ მოზესი, ახლა კი „იუნაიტედში“ ნიგერიის ნაკრების ნახევარმცველი კონგოლეი ობიეკვო ისინჯება.

ადრიან ჰითი ჯერჯერობით არ ამხელს, რამდენი შესთავაზა „აიაქსს“. მისი თქმით, იგი აუცილებლად მისცემს საშუალებას ქინქლაძეს, გააგრძელოს კარიერა და გამოასწოროს შელახული იმიჯი. „ჩვენ გვწამს, ქართველი კვლავ დაიქუხებს“ — ამბობს ჰითი.

რას ფიქრობს „შეფილდ იუნაიტედის“ თაობაზე გიორგი ქინქლაძე, ჯერჯერობით უცნობია, თუმცა აღსანიშნავია, რომ ქართველმა „პორტსმუთი“ პირველი დივიზიონისა და შესაბამისი ამბიციების არქონის გამო დაიწუნა.

**სიმონ მენაბდე**

# შელიამ აღორძინებული მანჩესტერ სიტი დატოვა

მურთაზ შელია და ტონი ვიგანი პირველები არიან, ვინც აღორძინებული „მანჩესტერ სიტის“ გეგმებს ვერ მოერგნენ. „სიტის“ პრეზიდენტმა დევიდ ბერნშტეინმა გუშინ გამოაცხადა, რომ ვიგანი უელსის „კარდიფში“ გაანათხოვრეს, ხოლო შელიამ, რომელმაც ვერა და ვერ დაიბრუნა სათამაშო ფორმა, კლუბი დატოვა.

ბერნშტეინის თქმით, „სიტი“ ეცდება, გაყიდოს ქართველი, რომელმაც მანჩესტერელთა მთავარ მწვრთნელთან, ჯო როილთან საუბრის შემდეგ სამშობლოში გამგზავრება ირჩია.

კლუბის გადაწყვეტილება როილმაც დაადასტურა. მან განაცხადა, რომ „სიტი“ დიდი მოთმინებით დაელოდება მეორე ქართველის, კახი ცხადაძის ფორმაში შესვლას. შეგახსენებთ, რომ მურთაზ შელია სიტიმ 350 ათას გირვანქად იყიდა „ალანიიდან“.

ბერნშტეინისვე განცხადებით, ახლო მომავალში „სიტის“, რომელიც პირველი დივიზიონის ერთპიროვნული ლიდერია, კიდევ რამდენიმე ფეხბურთელი დატოვებს.

**სიმონ მენაბდე**

# ლოკომოტივის ავტომოტივი

სალონიკი პატარა საქართველოაო — ეს სალონიკისავე პაოკ-ის ფეხბურთელმა ომარ თეთრაძემ განაცხადა „სარბიელთან“ საუბარში.

ახლა დიდი საქართველო რა არის, პატარა რა იქნება და ალბათ ამიტომ თუ გადაწყვიტა თბილისის „ლოკომოტივის“ ხელმძღვანელობამ, სალონიკს ავტობუსით სწვეოდა. სალონიკი ხომ არც ეკვატორზეა, არც რომელიმე პოლუსზე, აგერაა, ყურის ძირში...

თვითმფრინავით სადმე გუნდის წასვლა კი, რაც უნდა ახლოს მდებარეობდეს ეს „სადმე“, ქართული ფეხბურთის მასშტაბებით გვარიანი თანხა ჯდება და ხარჯი აკლია რკინიგზის დეპარტამენტს, ესეც ზედ არ დაუმატოს?

თუმცა ეს ყოველივე ჯერჯერობით სავარაუდო მოვლენათა სიას ეკუთვნის და დაზუსტებული ინფორმაცია „ლოკომოტივის“ სალონიკში ლაშქრობის(?) შესახებ უშუალოდ რკინიგზელთა საბერძნეთში გამგზავრების წინ ელის „სარბიელის“ მკითხველს. მანამდე კი არათუ მკითხველმა, ფეხბურთელებმაც არ იციან, რითი ეწვევიან საბერძნეთს. არჩევანი ორგვარია. ავიამოტივი — თვითმფრინავი სწრაფია და ძვირი. ...ავტობუსი — შედარებით ნელამავალია, მაგრამ იაფი.

ვფიქრობთ, მეორეს — ავტომოტივს აირჩევენ რკინიგზელები. მით უმეტეს, გუნდს ყველანაირი მოტივაცია დაკარგული აქვს.

**კონსტანტინე გოგიშვილი**

# ბიჭები დიადი ქვეყნიდან

## ვუყურებთ, მაგრამ ვერ ვხედავთ

საფეხბურთო ცეცხლი გიზგიზებდა მოედანზე. გადაჭედილი ტრიბუნები მთელი 90 წუთის განმავლობაში ბობოქრობდა. სიგარეტის კვამლით გაჟღენთილი ჰაერი ნისლივით დასწოლოდა სტადიონს, სუნთქვა ჭირდა. სასწრაფო დახმარების მანქანას მოსვენება არ ჰქონდა — ხან დასავლეთის სექტორში უწუხდა გული ვიღაცას, ხან — აღმოსავლეთისაში. განსაკუთრებულად ფხიზლობდნენ მეხანძრეები მატჩის დამთავრებისას. თითოეული გულშემატკივარი სკამზე დაფენილ გაზეთს ცეცხლს უკიდებდა და მერე აქეთ-იქით არწევდა. ერთ რამედ ღირდა ამ თვალისმომჭრელი სანახაობის ცქერა. ტრიბუნები ვარსკვლავებით მოკაშკაშე ამოტრიალებულ ცის კაბადონს ემსგავსებოდა და ვნატრობდი, რაც შეიძლება დიდხანს გაგრძელებულიყო ყოველივე. ეს ყველაფერი ხდებოდა თბილისში, ქუთაისში, ლანჩხუთში, სამტრედიაში და სხვა ქართულ, უფრო სწორად კი საბჭოთა საქართველოს ქალაქებში.

საბჭოთა კავშირის პირველობის უმაღლესი, პირველი, მეორე ლიგის შეხვედრებს რომ ვიხსენებ და ჩვენი ეროვნული ჩემპიონატის მატჩებს ვუყურებ, ველარ ვხედავ მაშინდელ შემართებას, დაძაბულობას, ალში გახვეულ ტრიბუნებსა და, რაც ყველაზე მთავარია, ფეხბურთი არსად ჩანს. ყველაფერი შედარებითია ამქვეყნად. საბჭოურ ფეხბურთთან დღევანდელის შედარებით მეუფლება ნოსტალგია, თორემ იმ „დიად სამშობლოს“ რომ მივტიროდე, ავდგებოდი და გულის მოსაფხანად მაინც გავერთიანდებოდი პანტელეიმონ გიორგაძის კომპარტიაში...

ის ფეხბურთი კი ევროპულთან შედარებით საკუთარი ჭიის გახარებას უფრო წააგავდა, ვიდრე გამართულ, პროფესიულ მექანიზმს. თუმც ერთადერთი — სახელმწიფო საკუთრების მქონე ქვეყანაში მეტს რომ ვერ შევქმნიდით და მივაღწევდით, ჩვენზე უკეთ ევროპული ფეხბურთის მესვეურებმა უწყოდნენ. ისინი ნაბიჯ-ნაბიჯ მიიწევდნენ წინ, მეცნიერულ დონეზე აჰყავდათ სპორტის ეს სახეობა. შოუ-ბიზნესის უზარმაზარ სტრუქტურულ ერთეულად აქციეს ფეხბურთი და ამოქმედდა განვითარების შეუქცევადი პროცესიც.

საბჭოთა კავშირში კი სპორტს პოლიტიკური დატვირთვა უფრო ჰქონდა, ვიდრე კომერციული. ფეხბურთელის გონების პარტიული იდეოლოგიით გაჟღენთაზე უფრო ფიქრობდნენ, ვიდრე თანამედროვე საფეხბურთო დოქტრინის ელემენტებით გათვითცნობიერებაზე. ამასთან თითქმის მინიმუმამდე იყო დაყვანილი ფინანსური დაინტერესებაც. ერთი სიტყვით, არაპროფესიონალიზმი იყო გამეფებული და საბჭოთა კავშირის ნაკრებისა და კლუბების მსოფლიოს სარბიელზე ნაჩვენები შედეგები საკმაოდ პროზაული გახლდათ.

### პირველი ჩიტები

80-იანი წლების მეორე ნახევარში გორბაჩოვისეული გარდაქმნის დაწყებამ ბევრი რამ შეცვალა. ახლებურად აზროვნება უნდა დავიწყოთო, ითქვა მაღალ ეშელონებიდან და ყველაფერი თავდაყირა დადგა. თუმცა უამრავ მანკიერ გამოვლინებასთან ერთად მართალია ცოტა, მაგრამ პროგრესულიც მოხდა. ინფორმაციული ვაკუუმი გაირღვა და ამა თუ იმ სფეროს შესახებ უცხოეთიდან მასალის მიღება პრობლემას აღარ წარმოადგენდა. ამან ხელი შეუწყო კავშირების წარმოშობასა და საქმიანი ურთიერთობების დამყარებას. კერძო საკუთრების ფორმების დამკვიდრებამ ბიზნესის ახალ-ახალი წყაროს ძიების აუცილებლობა მოითხოვა და აბა, სად გინახავთ მატერიალური შემოსავლით ბოლომდე დაკმაყოფილებული კაცი...

ჩიტს რა უნდოდა და ხელის აქნევაო — უთქვამს ბრძენკაცს. დაახლოებით ასე დაემართათ საბჭოთა ფეხბურთელებს. უცხოეთში არცთუ იშვიათად უწევდათ მოგზაურობა და იქაური პირობები და ფეხბურთისადმი დამოკიდებულება როგორიც იყო, კარგად უწყოდნენ. ჰოდა, გამოჩნდნენ პირველი ასაფრენად გამზადებული ჩიტებიც. თუმცა მაშინდელ ევროპაში ჯერ კიდევ არ მოქმედებდა ბოსმანის წესი და საბჭოელების იქ გადაბარგებაც მთლიანად მიწვევებზე იყო დამოკიდებული. არა, ისეთებს არავინ ულობავდა გზას, ვინც საშუალოზე დაბალი სიძლიერით ცნობილ საფეხბურთო ქვეყანაში მიდიოდა, მაგრამ ევროპის წამყვან გრანდებში მოხვედრაზე ნურას უკაცრავად, ეს მხოლოდ რჩეულთა ხვედრი იყო. საბჭოთა კავშირიდან პირველი ასეთი რჩეული ოთხეული მახსენდება — ალექსანდრ ზავაროვი, ალექსეი მიხაილიჩენკო, სერგეი ალეინიკოვი და იგორ ბელანოვი. იმ დროისთვის ქართველებს არც არავინ გვყოლია ისეთი, რომლის მიმართაც სოლიდურ კლუბებს გამოეჩინათ ინტერესი. შეედეთისდარ ქვეყნებში წასულ ვეტერან ფეხბურთელებს სათვალავში ნუ ჩავაგდებთ.

1993 წელს საფრანგეთის პირველ დივიზიონში გამოჩნდა ერთი ჩვენებური. „ლე ავრში“ აღმოჩნდა გია გურული და ათამდე გოლიც გაიტანა სეზონში. ორ წელიწადში გიორგი ქინქლაძის ინგლისის პრემიერლიგის ბინადარ „მანჩესტერ სიტიში“ გადაბარგება კი, ჩემი აზრით, მაინც ყველაზე მნიშვნელოვანი ტრანსფერი გახლდათ ქართული საფეხბურთო სამყაროსთვის. 1997 წელს თემურ ქეცბაია იყიდა ინგლისურმა „ნიუკასლმა“, იმავე წელს შოთა არველაძე გადაიბირა ჰოლანდიურმა „აიაქსმა“ და ნელ-ნელა გამოიდარა ქართველი ფეხბურთელებისთვის.

### მეორე

ევროპის წამყვან საფეხბურთო ქვეყნებში ლეგიონერთა სიმრავლის მხრივ საქართველო ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებიდან მეორე ადგილზეა. რა თქმა უნდა, ლაპარაკია იმ ფეხბურთელების თაობაზე, რომლებიც უმაღლესი ლიგის გათამაშებაში მონაწილეობენ. ქვემოთ მოყვანილ ცხრილში კარგად ჩანს ყოფილი საბჭოთა სივრცის ბინადარი მოთამაშეების მიგრაცია. უკონკურენტო ლიდერად რუსეთი გვევლინება. ჩამოთვლილი ევროპის 11 ქვეყნიდან ჩვენს ჩრდილოელ მეზობლებს მხოლოდ ინგლისსა და შვეიცარიაში არ ჰყავს მობურთალი. აი, იტალიის სერია A-ში კი ორი რუსი — დმიტრი ალენიჩევი (რომა) და იგორ კოლივანოვი (ბოლონია) თამაშობს. ამ მაჩვენებლითაც რუსეთი ლიდერია. ისიც უნდა ითქვას, რომ ამავე გათამაშების მონაწილე, „მილანის“ წევრი უკრაინელი ანდრეი შევჩენკო ყველაზე ძვირადღირებული ფეხბურთელია მათ შორის, ვინც კი ოდესმე გაყიდულა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებიდან. იტალიის უმაღლეს ეშელონში ბელარუსსაც ჰყავს წარმომადგენელი — „რომამ“ სერგეი გურენკო სულ ახლახან შეიძინა.



წლეულს გოჩა ჯამარაული ლეგიონერებიდან სტაბილურობით გამოირჩევა

ევროპის ოთხი გრანდის — იტალიის, ინგლისის, გერმანიისა და ესპანეთის ჩემპიონატებში ლეგიონერთა ყოლის მხრივ ესტონეთი და ლატვიაც გაერივნენ. ესტონელი მარტ პოომი ინგლისური „დერბის“ კარს იცავს. ლატვიელი მარიანს პახარსი კი ამავე ქვეყნის კლუბის — „საუთჰემპტონის“ ღირსებას.

ქართველ ლეგიონერებს დავუბრუნდეთ. 10 კაცი ევროპის წამყვან საფეხბურთო ქვეყნებში მართლაც არაა ურიგო მაჩვენებელი. ბოლოს და ბოლოს ჩვენზე გაცილებით დიდ (ტერიტორიით) სახელმწიფოებს — უკრაინასა და ბელარუსს ვუსწრებთ, მაგრამ ისიც, ხომ ცნობილია, თუ როგორ გაიყინა სატრანსფერო პოლიტიკა ჩვენებურების მიმართ. 10-კაციანი ჩიის გაზრდას ვინღა ჩივის, ეს რიცხვიც შემცირების საფრთხის წინაშე დგას. გიორგი ქინქლაძის დღევანდელი მდგომარეობა გვაფიქრებინებს ამაზე. იგი ხომ სიმბოლურად ირიცხება „აიაქსის“ შემადგენლობაში. ცხრილში არ შევიტანეთ ბელგიური „სტანდარდის“ კუთვნილი ქართველი ახალგაზრდა თავდამსხმელი ლაშა ჯაკობიას გვარი. ლაშა კლუბის საჩემპიონატო განაცხადში ჯერჯერობით ვერ მოხვდა.

მეორე ცხრილში ხსენებული ქვეყნების მიმდინარე ჩემპიონატებში ქართველი ლეგიონერების სტატისტიკური მონაცემებია. თუ მას ყურადღებით დავაკვირდებით, აშკარად ჩანს, რომ ჯერჯერობით არც ერთი მათგანი შთამბეჭდავად არ გარჯილა. ეს არ ეხება ფრაიბურგელ ალექსანდრე იაშვილს, რომელმაც ხანგრძლივი მკურნალობის მერე პირველად ითამაშა გუნდის შემადგენლობაში. სხვებისგან განსხვავებით გოჩა ჯამარაულს ნორმალური მაჩვენებლები აქვს. რაც შეეხება ბერძნული „პანახაიკის“ წევრ გოდერძი ნატროშვილს, მან მშვენივრად დაიწყო. პირველსავე ტურში „იონიკოსთან“ შეხვედრისას საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს.

და მაინც, რა არის მთავარი მიზეზი იმისა, რომ საქართველოს, ლეგიონერების მხრივაც უიმედო მომავალი უჩანს. ამ კითხვაზე მარტივი პასუხი არსებობს — ჩვენი კლუბების ევროსარბიელზე ნაჩვენები სავალალო შედეგები და ნაკრების კატასტროფა. თუ ფიფას მიერ ბოლოს გამოქვეყნებულ რეიტინგს თვალს გადაავლებთ და საქართველოს ადგილს მოძებნით...

### სამოცდამეორე

დიახ, სამოცდამეორე ადგილზე ვიმყოფებით და პერსპექტივა იმისა, რომ ზევით ავიწიოთ, არ შეინიშნება. ასე რომ, არც უნდა გვიკვირდეს ქართველი ფეხბურთელების ფასი ევროპულ ბაზარზე სასტიკად რომ დაეცა. სამოცდამეორე ადგილზე მყოფი ქვეყნის მოთამაშით რომელი სოლიდური კლუბის ჭკუათმყოფელი მესვეური დაინტერესდება.

თავს იმით ნუ ვინუგეშებთ, ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს შორის მეორე საფეხურზე ვართო. ფიფას რეიტინგში უკრაინა (26-ე) და ლიტვა (46-ე) ჩვენზე გაცილებით წინ არიან და არაა გამორიცხული, უახლოეს მომავალში ლეგიონერების სიმრავლეშიც გადაგვაჭარბონ.

მართლაც ღირს ყველაფერ ამაზე კვლავ სერიოზულად დავფიქრდეთ და რაღაც მოვიმოქმედოთ, თორემ რა გამოდის. ვუყურებთ, როგორ ვიცლებით სისხლისგან და საშველს ვერ ვხედავთ. ვუყურებთ ევროპაში მობურთალ ათ ქართველს და შედეგი არსად ჩანს. ქართველ ლეგიონერთა რიცხვი ერთ ადგილას გაიყინა და მის გაზრდაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია...

ამ წერილში მხოლოდ ევროპაში მობურთალ ჩვენებურებზე გავამახვილეთ ყურადღება და არავინ იფიქროს, დღეისათვის ქართველ ლეგიონერთა საუკეთესო წარმომადგენელი, ჩემპიონთა ლიგაში მოთამაშე კახა კალაძე დაგვავიწყდა.

**ხვიჩა სანიკიძე**

### ყოფილი საბჭოეთის წარმომადგენლები ევროპის წამყვან ქვეყნებში

| | იტალია | ინგლისი | გერმანია | ესპანეთი | საფრანგეთი | ჰოლანდია | პორტუგალია | ბელგია | საბერძნეთი | შვეიცარია | შოტლანდია | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| რუსეთი | 2 | — | 2 | 5 | 1 | 7 | 4 | 3 | 1 | — | 2 | 27 |
| საქართველო | — | 1 | 3 | — | — | 2 | — | 1 | 1 | 2 | — | 10 |
| უკრაინა | 1 | 1 | 2 | — | 1 | — | — | 2 | — | 1 | — | 8 |
| ლიტვა | — | — | 1 | — | — | 1 | — | 3 | — | — | — | 5 |
| ბელარუსი | 1 | — | — | — | — | 1 | — | — | — | — | — | 2 |
| სომხეთი | — | — | — | — | — | — | — | — | — | 2 | — | 2 |
| ესტონეთი | — | 1 | — | — | — | — | — | — | — | — | — | 1 |
| ლატვია | — | 1 | — | — | — | — | — | — | — | — | — | 1 |
| სულ | 4 | 4 | 8 | 5 | 2 | 11 | 4 | 9 | 2 | 5 | 2 | 56 |

### ქართველთა წლევანდელი მაჩვენებლები

| ლეგიონერი | კლუბი | ქვეყანა | თამაში | გოლი | პასი |
|---|---|---|---|---|---|
| თემურ ქეცბაია | ნიუკასლი | ინგლისი | 4 | 0 | 0 |
| ალექსანდრე იაშვილი | ფრაიბურგი | გერმანია | 1 | 0 | 0 |
| ლევან კობიაშვილი | ფრაიბურგი | გერმანია | 5 | 0 | 2 |
| ლევან ცქიტიშვილი | ფრაიბურგი | გერმანია | 2 | 1 | 0 |
| შოთა არველაძე | აიაქსი | ჰოლანდია | 4 | 1 | 0 |
| გიორგი ქინქლაძე | აიაქსი | ჰოლანდია | 0 | 0 | 0 |
| გელა შეყილაძე | ლიერსი | ბელგია | 4 | 0 | 0 |
| გოჩა ჯამარაული | ციურიხი | შვეიცარია | 12 | 3 | 0 |
| მიხეილ ყაველაშვილი | ციურიხი | შვეიცარია | 6 | 0 | 0 |
| გოდერძი ნატროშვილი | პანახაიკი | საბერძნეთი | 1 | 0 | 0 |

## ჩემპიონთა ლიგა. II ტური. E ჯგუფი

### პორტუ 2:0 ოლიმპიაკოსი

1:0 ესკერდინია (6), 2:0 ჟარდელი (47)
პორტუ: ბაია, სეკრეტარიუ, კოშტა, ფუქსი, პეიშე, დრულოვიჩი, ჟარდელი, ჩაინიო (ბარუში 77), ნუნო კაპუჩო (ოლივეირა 61), დეკო (ალვეში 88), ესკერდინია
ოლიმპიაკოსი: ელეფტეროპულოსი, კარატაიდისი, ამპონსა (გოგიჩი 58), ამანატიდისი, პურსანიდისი, ნინიადისი, ოლივეირა, ჯორჯევიჩი (ალექსანდრისი 89), კუაე, ზაჰოვიჩი (სოუზა 75), ანატოლაკისი
მსაჯი: დ. ილერი (ინგლისი)

პორტუგალიელებმა ექვსი შესაძლებლიდან ექვსი ქულა მოიპოვეს და ჯგუფს ლიდერობენ.

მეორე ტურში „პორტუმ" ბერძნულ „ოლიმპიაკოსს" სძლია. ორივე გოლი ბრაზილიელებმა, ჟანუარიო ესკერდინიამ და მარიო ჟარდელმა გაიტანეს.

გასულ სეზონში ამავე გუნდების მატჩი, პორტუში, 2:2 დასრულდა, ამჯერად კი ანგარიში უფრო შთამბეჭდავიც რომ ყოფილიყო, გასაკვირი არ იქნებოდა — მასპინძლებმა მრავალი სახიფათო მომენტი შექმნეს და, რომ არა პირეოსელთა მეკარე დიმიტრიოს ელეფტეროპულოსი იქნებ ზოგი მათგანი გოლითაც დასრულებულიყო.

სტუმართა ყველაზე მწვავე მომენტი კი 62-ე წუთმა მოიტანა, როდესაც ბრაზილიელმა ჯოვანი ოლივეირამ ანუ უბრალოდ ჯოვანიმ თავური დაურტყა მასსავით ყოფილ ბარსელონელს, მეკარე ვიტორ ბაიას, მაგრამ ვერ გაუტანა.

გარდა ამისა, „ოლიმპიაკოსის" ფეხბურთელთაგან ხელსაყრელი მომენტები ვერ გამოიყენეს პეტერ ოფორი კუაემ და სლოვენიელმა ზლატკო ზაჰოვიჩმა, რომელიც ბერძნულ გუნდში გასულ ზაფხულს, სწორედ „პორტუდან" გადავიდა.

„დღეს ჩემმა ფეხბურთელებმა საუცხოოდ ითამაშეს და ამისათვის დიდ მადლობას იმსახურებენ. კიდევ უფრო მეტი გოლი უნდა გაგვეტანა. სრულიად დამსახურებულად გავიმარჯვეთ" — თქვა მატჩის შემდეგ „პორტუს" მწვრთნელმა ფერნანდო სანტოსმა.


REUTERS პორტუდან

პორტუ — ოლიმპიაკოსი 2:0 ბერძენი ელიას პურსანიდისი (მარცხნივ) „პორტუს" ბრაზილიელ ფორვარდს მარიო ჟარდელს ებრძვის

### რეალი 4:1 მოლდე

1:0 მორიენტესი (27), 2:0, 3:0 სავიო (60, 69პ), 3:1 ლილებეკი (79), 4:1 გუტი (80)
რეალი: კასილასი, სალგადო, კამპო, ჟულიო სეზარი, რობერტო კარლოსი, ივანი, რედონდო, მაკმანამანი (ბალიჩი 64), ანელკა (გუტი 55), სავიო (ეტო 73), მორიენტესი
მოლდე: ბაკე, სტრანდე, ტესემი, ლიდერსონი (სინგაასი 84), ფოსტერვოლდი, ოლსენი, ბერგი, ფიორტოფტი, ჰოსეთი (მორკი 66), ლილებეკი (სუნდგოტი 89), ლუნდი
მსაჯი: ჰ. სტრამპე (გერმანია)

„სანტიაგო ბერნაბეუ" და 15 ათასი გულშემატკივარი? 104 ათასიანი, შემაძრწუნებლად ცარიელი სტადიონი თითქოს კითხულობდა: ღირდა ჩემპიონთა ლიგაში 32 გუნდის შეშვება? ლიგას „მოლდე" არ აინტერესებს.

ფერნანდო მორიენტესმა, სავიომ ორჯერ და ხოსე მარია გუტიერესმა, რომელსაც ესპანელები მოკლედ და მარტივად გუტის უწოდებენ, მადრიდის „რეალს" თავიანთი გოლებით უპრობლემო გამარჯვება მოუტანეს. ნორვეგიელებმა მხოლოდ, კნუტ ლილებეკის ზუსტი დარტყმით შეძლეს მოკრძალებული პასუხის გაცემა.

რით იყო ყურადსაღები ეს შეხვედრა? ალბათ იმით, რომ სკანდალურად ცნობილმა ნიკოლას ანელკამ, მადრიდელებს 35 მილიონი დოლარი რომ დაუჯდათ, კიდევ ერთხელ გაახუნა იმედები. იგი შეცვალეს, მწვრთნელმა უელსელმა ჯონ ტოშაკი კი ჩაფიქრდა.

„ყველაზე მეტად ანელკას შეცვლა არ მინდოდა. მსურდა 90 წუთი ეთამაშა, მაგრამ იძულებული გავხდი გუნდის ინტერესები უფრო მაღლა დამეყენებინა" — განმარტა ტოშაკმა — „ანელკა ჯერაც ვერ მოერგო ვითარებას, ვგონებ საკუთარი თავისა მეტად უნდა ირწმუნოს".

თუმცა „სამეფო გუნდის" უელსელმა თავკაცმა „მოლდესთან" შეხვედრაში ბევრი რამ პოზიტიურიც შენიშნა: „ასეა თუ ისე, „რეალის" იმ შემადგენლობასთან შედარებით, რომელმაც გასული სეზონი დაასრულა, დღეს მოედანზე ექვსი ახალი ფეხბურთელია. ასეთი განახლებული გუნდის კვალობაზე კი „მიოლდესთან" ძალიან კარგად ვითამაშეთ.

ანელკას ცუდი საღამო ჰქონდა, ხოლო ბრაზილიელი სავიო მარჯვენა ფრთაზე ნამდვილი ვარსკვლავივით მოქმედებდა. მიუხედავად იმისა, რომ ნორვეგიელები ერთობ ძალისმიერად ეწინააღმდეგებოდნენ, მან ოთხიდან სამ გოლში მიიღო მონაწილეობა. როგორც მოგახსენეთ, ორი თავად შეაგდო, ხოლო ერთი მორიენტესს გაატანინა.

„და მაინც, საწყის 20 წუთში შეფიქრიანებული გახლდით. მეტოქის თავდამსხმელ ლუნდს ორი კარგი შანსი ჰქონდა, და ვგრძნობდი, რომ დაცვაში კიდევ ბევრი გვაქვს სამუშაო" — დასძინა ტოშაკმა.

„მართალია მადრიდის „რეალი" „პორტუზე" ძლიერი გუნდია, მაგრამ დღეს აშკარად დავინახე, რომ მასთან შინ ქულის მოპოვება სულაც არ არის შეუძლებელი" — იხტიბარი არ გაიტეხა „მოლდეს" მწვრთნელმა ერიკ ბრაკსტადმა.

*28 სექტემბერი. რეალი — პორტუ; ოლიმპიაკოსი — მოლდე*

| | E ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | პორტუ | | 20.X | 2:0 | 26.X | 3:0 | 6 |
| 2 | რეალი | 28.IX | | 26.X | 4:1 | 7:4 | 4 |
| 3 | ოლიმპიაკოსი | 3.XI | 3:3 | | 28.IX | 3:5 | 1 |
| 4 | მოლდე | 0:1 | 3.XI | 20.X | | 1:5 | 0 |

## ჩემპიონთა ლიგა. II ტური. F ჯგუფი

### რეინჯერსი 1:1 ბაიერნი

1:0 ალბერცი (22), 1:1 ტარნატი (89)
რეინჯერსი: შარბონიე, პორინი, ამორუზო, მური, ნუმანი, რეინა, ფერგიუსონი, ვან ბრონკჰორსტი, ალბერცი, მოლსი (ჰენდრი 83), იოჰანსონი (მაკკენი 90)
ბაიერნი: ვესელსი, ლინკე, მათეუსი (ციკლერი 85), კუფური, იერემისი, ტარნატი, ეფენბერგი, ლიზარაზუ (იანკერი 46), შოლი, ელბერი (სანტა კრუზი 72), სალიჰამიჯიჩი
მსაჯი: რ. ვოიჩიკი (პოლონეთი)

გლაზგოს „აიბროქს პარკზე" თამაშის დამთავრებას ერთი წუთი აკლდა, როდესაც მასპინძელთა საჯარიმოსთან, კარიდან დაახლოებით 25 მეტრში ჯარიმა დაინიშნა. „ბაიერნი" 0:1-ს აგებდა, მაგრამ როგორც გერმანული გუნდი, ბუნებრივია, დამარცხებაზე არც ფიქრობდა. საჯარიმოს დარტყმა მიხაელ ტარნატმა ითავა — ფეხბურთელმა, რომელსაც ბუნდესლიგის ბოლო ტურში კარში ჩადგომაც კი მოუხდა. ტარნატმა ძლიერად დაარტყა. „რეინჯერსის" ფრანგი მეკარე ლიონელ შარბონიე სწორედ გადახტა, იქით, საითაც ტარნატი უმიზნებდა, მაგრამ ბურთი შეცვლაზე შესულ ბავარიელ როკე სანტა კრუზს ბეჭებში მოხვდა — სანტა კრუზი გზიდან გაცლას ცდილობდა — და სულ სხვა მიმართულებით გაფრინდა. გერმანულმა გუნდმა მერამდენედ, ბოლო წუთზე გამოჭედა საკუთარი ქულა.

„ბაიერნის" მწვრთნელმა ოტმარ ჰიცფელდმა მატჩის შემდეგ განაცხადა: „ჩვენ იქნებ ცოტა გაგვიმართლა კიდეც".

იღბლის ფაქტორი არც თავად ტარნატმა უარყო: „ცხადია დარტყმისას ბედმა გაგვილიმა".

შემდეგ ჰიცფელდს ჰკითხეს, ხომ არ გგონიათ, რომ გასული გათამაშების ფინალში ბედმა თქვენი ვალი დაიდოო (შეგახსენებთ, რომ „ბაიერნმა" „მანჩესტერ იუნაიტედთან" 1:2 ბოლო წუთზე გაშვებული ორი გოლის გამო წააგო). მწვრთნელმა ღიმილით უპასუხა:

„გაცილებით მიჯობდა იღბალს ჩვენთვის ბარსელონაში მოეხედა, ვიდრე დღეს გლაზგოში".

„რეინჯერსის" თავკაცი, დიკ ადვოკატი, რომლის გუნდმაც თამაშით აჯობა მოწინააღმდეგეს, ძლიერ გულგატეხილი გახლდათ.

„ჯერ ერთი მე თუ მკითხავთ იმ ეპიზოდში ჯარიმა სულაც არ უნდა დანიშნულიყო" — უპასუხა გაბრაზებულმა — „ჩემმა ფეხბურთელებმა ძალიან მოინდომეს და მე ამ ბიჭებით ვამაყობ. ექვსი თუ შვიდი საგოლე მომენტი გვქონდა, მაგრამ ვერ გამოვიყენეთ. დღეს სამი ქულა რომ მოგვეპოვებინა შემდეგ ეტაპზე გასვლის კანდიდატები ვიქნებოდით, ახლა კი რადაც უნდა დაგვიჯდეს, „ეინდჰოვენს" უნდა მოვუგოთ, მას კი ჩვენზე ნაკლებად როდი სჭირდება ქულა. იმედი მაქვს, რომ იღბალი ამჯერად ჩვენ დაგვიჭერს მხარს".

„რენჯერს" — „ბაიერნის" შეხვედრას 49 960 მაყურებელი ესწრებოდა.

### პსვ 1:1 ვალენსია

0:1 კ. ლოპესი (4), 1:1 ვან ნისტელროი (71პ)
პსვ: ვატერეუსი, დირკსი, ფაბერი (ვიელაერტი 55), ჰაინცი, ხოხლოვი, ვან ნისტელროი, ბრუგინკი, ფოგელი, რომედალი (კოლკა 74), ნიკიფოროვი, სტინგა (ბომბა 69)
ვალენსია: კანისარესი (პალოპი 63), პელეგრინო, ბიორკლუნდი, მენდიეტა, კ. ლოპესი (ოსკარი 90), ხ. ლოპესი, კარბონი, სანჩესი (ანგულო 74), გონსალესი, ანგლომა, ალბედა
მსაჯი: რ. პედერსენი (ნორვეგია)


REUTERS ეინდჰოვენიდან

პსვ — ბაიერნი 1:1. პსვ-ს კაპიტანმა იან ჰაინცემ ვალენსიელი მენდიეტა მოცელა

71-ე წუთზე რუუდ ვან ნისტელროიმ საეჭვო წარმოშობის პენალტი გაიტანა და შეხვედრის დასაწყისში არგენტინელი ფორვარდის, კლაუდიო ლოპესის გოლი გაქვითა — პსვ წაგებას გადარჩა.

შეხვედრის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე ორივე გუნდის მწვრთნელმა დაიჩივლა, რომ მათ კარში გოლი უსამართლოდ გავიდა.

„დღეს ჩვენ ახალდაწყებული სეზონის საუკეთესო მატჩი ვითამაშეთ. ვგონებ ყველას დავუმტკიცეთ, რომ შეგვწევს ისეთ გუნდებთან ბრძოლის ძალა „ბაიერნი" და „ვალენსია" რომ არიან. თეორიულად ეს ორი კლუბი ხომ ჩვენზე ძლიერად ითვლება. გული დამწყდა, რომ ვერ გავიმარჯვეთ" — თქვა პსვ-ს ბელგიელმა თავკაცმა ერიკ გერეცმა.

„ძნელი შეხვედრა გვერგო. პსვ-ს სიტუაცია შეტევისკენ უბიძგებდა და „ვალენსიამ" მის წინააღმდეგ დიდებული პირველი ტაიმი ჩაატარა. უკეთესადაც შეგვეძლო, მაგრამ სამწუხაროდ ველარ მოვახერხეთ. ლოპესს კიდევ ჰქნდა ერთი საგოლე მომენტი. რომ გაეტანა, 2:0 იქნებოდა, მაგრამ აი, რა მივიღეთ — 1:1. და მაინც, შედეგი ალბათ სამართლიანი იყო. გუნდებმა ფაქტობრივად თანაბრად ითამაშეს". — ბრძანა „ვალენსიას" არგენტინელმა მწვრთნელმა ეკტორ კუპერმა.

შემდეგ ისევ გერეცმა დასძინა: „ლიგის პირველ ორ ტურში, მე თუ მკითხავთ, მეტი გვეკუთვნოდა. ახლა რთულ მდგომარეობაში ვართ. იმ მატჩებიდან, სტუმრად რომ გვაქვს ჩასატარებელი, ქულები უნდა ჩამოვიტანოთ. ვიცოდით, რომ თითოეული შეცდომა ძვირად დაგვიჯდებოდა, მაგრამ მაინც შემტევი ფეხბურთი ვამჯობინეთ. ლოპესის გოლი კი ნამდვილი თავზარი გახლდათ. ტელეგამეორებები ამტკიცებს, რომ იგი ოფსაიდიდან გავიდა".

„სირცხვილია რომ ვერ მოვიგეთ" — თქვა ვან ნისტელროიმ.

*28 სექტემბერი. პსვ — რეინჯერსი; ბაიერნი — ვალენსია*

| | F ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ვალენსია | | 20.X | 3.XI | 2:0 | 3:1 | 4 |
| 2 | ბაიერნი | 28.IX | | 2:1 | 3.XI | 3:2 | 4 |
| 3 | პსვ | 1:1 | 26.X | | 28.IX | 2:3 | 1 |
| 4 | რეინჯერსი | 26.X | 1:1 | 20.X | | 1:3 | 1 |

## ჩემპიონთა ლიგა. II ტური. G ჯგუფი

### სპარტაკი 1:1 სპარტა

0:1 ლოკვენცი (16), 1:1 ბეზროდნი (73)
სპარტაკი: ფილიმონოვი, კოვტუნი, ხლესტოვი, ციმბალარი (შირკო 54), ბუშმანოვი, ბარანოვი (კეჩინოვი 63), ბულატოვი (ბეზროდნი 70), ტიტოვი, ტიხონოვი, პარფიონოვი, რობსონი
სპარტა: პოსტულკა, გაბრიელი, ლაბანტი, პაშეკი, ჰორნიაკი, ნოვოტნი, ლოკვენცი, სიონკო, ბარანეკი (პრომაზკა 85), როსიკი (ობაიდინი 75), ფუკალი
გაძევება: კოვტუნი (63), რობსონი (83)
მსაჯი: კ. ე. ნილსონი (შვედეთი)

მოსკოველთა მწვრთნელი ოლეგ რომანცევი ამბობს, რომ რუსეთში შექმნილი არეულ-დარეული პოლიტიკური მდგომარეობის გამო „სპარტაკის" შემდგომ ეტაპებზე გასვლა არავის აძლევს ხელს.

„ცხადზე უცხადესია, რომ ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური არეულობა სათამაშოდ მოსკოვში ჩამოსვლის სურვილს უკლებლივ ყველას უკარგავს. ამიტომაც არ სურთ მათ, რომ „სპარტაკი" ჩემპიონთა ლიგის ფინალური ეტაპებისკენ წავიდეს" — თქვა მან „სპარტაკ" — „სპარტას" 1:1 დამთავრებული მატჩის შემდეგ.

მოგეხსენებათ, გასულ კვირაში ორმა ტერორისტულმა აფეთქებამ მოსკოვში საცხოვრებელი კორპუსები დაანგრია და 200 ადამიანზე მეტი მოკლა.

ახლა იმის შესახებ თუ რატომ გაუჩნდა „სპარტაკისა" და იმავდროულად რუსეთის ეროვნული ნაკრების თავკაცს ეჭვი, რომ მისი გუნდის მოგებას ხელს უშლიან.

„როდესაც შევხედე, როგორ მუშაობდა შეხვედრის მსაჯი შვედი კარლ-ერიკ ნილსონი, მივხვდი, რომ ბოლოს სრულიად შესაძლებელი იყო მოედანზე ცხრა კაცით დავრჩენილიყავით. ის ჩასაფრებული გახლდათ და ელოდა, როდის მიეცემოდა რომელიმე ჩვენი ფეხბურთელის გაძევების შანსი" — განმარტა რომანცევმა.

მაშ ასე: ნილსონმა 69-ე წუთზე მეორე ყვითელი ბარათი ალუმართა მცველ იური კოვტუნს, ხოლო შეხვედრის დასრულებამდე შვიდი წუთით ადრე, როდესაც სპარტაკელმა ბრაზილიელმა ლუის რობსონმა ჩეხ ლიბორ სიონკოს იდაყვი ჰკრა, მსაჯის წითელმა ბარათმა მყისვე გაიელვა რობსონის თვალწინ.

შემდეგ რომანცევმა დასძინა, რომ „სპარტასთან" შეხვედრა გამონაკლისი არ იქნება.

„დარჩენილ შეხვედრებშიც ასეთ მსაჯობას უნდა ველოდოთ".

კი მაგრამ, პირველ ტურში „სპარტაკმა" სტუმრად, ტილბურგში 3:1 რომ მოიგო და ესპანელმა მსაჯმა ფერნანდეს მარტინმა ორი პენალტი დაუნიშნა?

„გასულ კვირას ბედი გვწყალობდა, რადგან შეხვედრა პატიოსანმა ადამიანმა განსაჯა" — არ დაიბნა რომანცევი.



ბორდო — ტილბურგი 3:2. ბორდოელი სილვენ ვილტორდი ტილბურგელების დელანო ჰილსა (წინა პლანზე) და კიუ იალენსს შორის მიძვრება

### ბორდო 3:2 ტილბურგი

1:0 ვიქტორია (16 ს.კ.), 2:0 ლასლანდი (22), 2:1 აბდელაუი (40), 2:2 სანუ (70), 3:2 ფეინდუნო (83)
ბორდო: რამე, გრენე, აფანუ, საველიჩი, ბონისელი, მარტინსი (ბატლი 63), რუვიერი, დიაბატე, მიკუ, ვილტორდი (ფეინდუნო 63), ლასლანდი
ტილბურგი: მამპეი, ვალკი, იალენსი, ვიქტორია, ჰილი, შუკოვი, გალაშეკი, არტსი, კესაი, ბომბარდა (შენინგი 74), აბდელაუ (სანუ 58)
მსაჯი: გ. ბარბერი (ინგლისი)

პასკალ ფეინდუნო „ბორდოში" მოთამაშე ის განელი თავდამსხმელი გახლავთ, რომელმაც ჰოლანდიურ „ტილბურგთან" შეხვედრაში, ფინალო სასტვენამდე შვიდი წუთით ადრე, საჯარიმო მოედნის მარჯვენა მხრიდან ჯერ ჰაერის ჩაწოდება სცადა, მაგრამ ბურთი ცხვირწინ მდგომ ორ მეტოქეს მოხვდა და დაუბრუნდა, რის შემდეგაც, ამოკრული დარტყმით იგი მეურვეებსა და მეკარეს გადაავლო და შორეულ კუთხეში მოხდენილად ჩაუშვა.

„ეს ფეხბურთელი რაღაც ბრილიანტის მაგვარია. მას დაცვა და მოფრთხილება სჭირდება" — ხელები ალაპყრო მატჩის შემდეგ ჟირონდელთა თავკაცმა ელი ბოპმა. განელის დარტყმამ მის გუნდს 3:2 მოაგებინა.

თავიდან „ბორდო" 2:0-ს იგებდა. ჯერ იყო და ტილბურგელმა მცველმა რაიმონდ ვიქტორიამ საკუთარ კარში ისეთი ლაზათიანი თავური გაიტანა, თქვენი მოწონებული, მერე კი ლილიან ლასლანდმა ოსტატურად გაზარდა ანგარიში.

მიუხედავად ამისა, ჰოლანდიელები არ დანებდნენ — თანამედროვე ფეხბურთში ხომ არავინ აღარავის ნებდება — და პირველ ტაიმშივე შეამცირეს სხვაობა: მაროკოელმა იასინ აბდელაუმ ზუსტი თავური დაარტყა. 70-ე წუთზე ანგარიში შეცვლაზე შესულმა ოსმან სანუმ გაქვითა. შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ ამ სეზონში ჟირონდელები ზედიზედ მეექვსე შეხვედრაში ვერ გაიმარჯვებდნენ, მაგრამ...

„ტილბურგის" მწვრთნელი კო ადრიანსე: „მწამდა, რომ ერთი რაა, სამი ქულის მოპოვება შეგვეძლო, თუმცა ყველაფერი საძაგელმა პირველმა ტაიმმა ჩაგვიშალა".

„გამარჯვებას ვიმსახურებდით. შეცვლებით თამაშის მიმდინარეობის ჩვენს სასარგებლოდ შემობრუნებას ვცდილობდი" — დასძინა ბოპმა.

*28 სექტემბერი. ბორდო — სპარტაკი; სპარტა — ტილბურგი*

| | G ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | სპარტაკი | | 20.X | 1:1 | 26.X | 4:2 | 4 |
| 2 | ბორდო | 28.IX | | 26.X | 3:2 | 3:2 | 4 |
| 3 | სპარტა | 3.XI | 0:0 | | 28.IX | 1:1 | 2 |
| 4 | ტილბურგი | 1:3 | 3.XI | 20.X | | 3:6 | 0 |

## ჩემპიონთა ლიგა. II ტური. H ჯგუფი

### ჰერტა 2:1 ჩელსი

1:0, 2:0 დაეი (2, 70), 2:1 ლებეფი (86პ)
ჰერტა: კირალი, ჰერცოგი, ვან ბურიკი, შმიდტი, სანე (ვაიტი 66), დარდაი (ჰელმერი 80), დაისლერი, ტრეტშოკი (მიკალე 12), ვოში, დაეი, პრეეცი
ჩელსი: დე გუი, ფერერი, პეტრესკუ, ბაბაიარო, ლე სო (მორისი 71), დესაი, დეშამპი, ლებეფი, უაიზი, ძოლა, ფლო (სატონი 64)
მსაჯი: მ. პირო (ბელგია)

„ამ შეხვედრაში აშკარა აუტსაიდერები გახლდით და ამიტომ დასაკარგი არაფერი გვქონდა" — თქვა მატჩის შემდეგ „ჰერტას" ნახევარმცველმა სებასტიან დაისლერმა — „ჩვენ საკმაოდ თავდაჯერებულად ვითამაშეთ და ვგონებ დიდებული შეხვედრაც გამოგვივიდა".

„ბერლინელები საოცრად ორგანიზებულნი იყვნენ. ისინი გააფთრებით იბრძოდნენ ჩვენ კი პირველ ტაიმში ძალიან პასიურნი ვიყავით. გამოვფხიზლდით, მაგრამ უკვე გვიანი იყო. ვალდებულნი ვიყავით შეხვედრის პირველივე წუთიდან მოწინაალმდეგე დიდი ზეწოლის ქვეშ მოგვექცია. სამწუხაროდ ვერ შევძელით" — ეს „ჩელსის" მწვრთნელის, ჯანლუკა ვიალის სიტყვებია.

მე-2 წუთი იყო, როდესაც „ჰერტას" ირანელმა თავდამსხმელმა ალი დაეიმ ტონი სანეს ჩაკიდებულ ბურთს თავური დაარტყა და ანგარიში გახსნა.

შესვენების შემდეგ უპირატესობას „ჩელსი" ფლობდა, მაგრამ ლონდონელებმა რეალური საფრთხე ვერ შექმნეს მასპინძელთა კართან, 70-ე წუთზე კი მათმა ფრანგმა მცველმა ფრანკ ლებეფმა შეცდომა დაუშვა და დაეის მეორე გოლი გაატანინა.

ირანელი, რომელიც ბერლინის გუნდში მიუნხენის „ბაიერნიდან" ამ ცოტა ხნის წინ გადავიდა, უმეთვალყურეოდ დარჩენილი შევარდა სტუმართა საჯარიმო მოედანზე და მეტოქის ჰოლანდიელ მეკარეს, ედ დე გუის შანსი არ დაუტოვა.

ლებეფმა დანაშაული თერთმეტმეტრიანის ნიშნულიდან გამოასწორა. თამაშის დამთავრებამდე ოთხი წუთი რჩებოდა, როდესაც ჰოლანდიელმა ლიბერომ დიკ ვან ბურიკმა საკუთარ საჯარიმოში კრის სატონი წააქცია და მსაჯმა პენალტი დანიშნა.

ამრიგად ჯანლუკა ვიალის „ჩელსიმ" ოთხ დღეში უკვე მეორე თამაში წააგო: შაბათს პრემიერლიგაში მას ახალაღზევებულმა „უოტფორდმა" 1:0 აჯობა.

### მილანი 2:1 გალათასარაი

1:0 ლეონარდო (44), 2:0 შევჩენკო (45), 2:1 უმითი (49)
მილანი: აბიატი, კოსტაკურტა (გნოტი 83), აიალა, მალდინი, ჰელვეგი, ალბერტინი, გატუზო, სერჟინიო, ლეონარდო (ჯუნტი 69), ბირჰოფი, შევჩენკო (განცი 88)
გალათასარაი: ტაფარელი, უნსალი, ოლივეირა, პოპესკუ, ფათიჰი (ჰენბე 49), ილდირიმი, კაია, ევერტონი (არიფი 46), უმითი, ჰაჯი (ურუკი 46), ჰაქან შუქური
მსაჯი: ჰ. დალასი (შოტლანდია)

ანგარიში უკვე 2:1 იყო — იტალიის ჩემპიონი თურქეთისას უგებდა — როდესაც სტუმრებმა ძალ ღონე მოიკრიბეს და მასპინძლებს ერთობ უსიამოვნო წუთები გადაატანინეს.

შეხვედრის დრო იწურებოდა „მილანის" მეკარემ, კრისტიან აბიატიმ აკრობატული ნახტომით რომ იხსნა სამი ქულა.

პირველ ტაიმში ბურთს მასპინძლები უფრო ხშირად ფლობდნენ და 24-ე წუთზე დაწინაურებაც მართებდათ: კუთხურიდან ჩაწოდებულ ბურთს ოლივერ ბირჰოფი შეწვდა, ანდრეი შევჩენკოს გადაუგდო, უკრაინელიც თავის გაკვრას ლამობდა, მაგრამ...

„გალათასარაიმ" შეხვედრა ნერვიულად დაიწყო, თუმცა დიდებული შანსიც გაუშვა ხელიდან, როდესაც გერგე ჰაჯიმ ჯარიმიდან უმეთვალყურეოდ დარჩენილ დავალ უმითს გადააწოდა პასი, უმითმა კი მიზანს ააცილა.

„მილანი" საუკეთესო ფორმისგან შორს იყო. მისი შეტევები ხშირად სტამბოლელთა ნახევარდაცვაში იხშობოდა, თუმცა ნავსი მაინც გატყდა: ბირჰოფმა „გალათასარაის" ბრაზილიელი მეკარის, კლაუდიო ტაფარელის მოგერიებული ბურთი იხელთა და ტაფარელის თანამემამულეს, ლეონარდოს გადასცა — ტაფარელი და ლეონარდო 1994 წელს მსოფლიოს ჩემპიონები გახდნენ — ლეონარდომ გეორგე პოპესკუ ჩამოიტოვა და ძველ მეგობარს გაუტანა.

ცოტა ხანში ლეონარდომ მეორე გოლშიც მიიღო მონაწილეობა. მან თურქთა დაცვა გაარღვია და შევჩენკოს პასი გადააწოდა. უკრაინელმა, რომელიც აქამდე მაინცდამაინც არ ეტყობოდა მოედანს, ანგარიში გაზარდა.

შემდეგ ასეთი რამ მოხდა: შესვენებისას „გალათასარაიმ" ერთბაშად ორი ფეხბურთელი შეცვალა, ხოლო შეხვედრის განახლებიდან ოთხ წუთში ფათიჰი დაშავდა, იგიც შესაცვლელი შეიქნა და გამოვიდა, რომ სტამბოლელებს მთელი 41 წუთი გადახალისების უფლების გარეშე რჩებოდათ სათამაშო.

მაგრამ მათ მაინც მოახერხეს ანგარიშის შეცვლა. უმითმა ჰაქან უნსალის ჩაწოდებული ბურთი იხელთა და აბიატის აჯობა.

მოედანზე მეორე ტაიმში შესულმა არიფმა ნახევარდაცვაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა, „მილანს" კი დისკვალიფცირებული მასიმო ამბროზინის აგრესიულობა აკლდა.



მილანი — გალათასარაი 2:1. ანდრეი შევჩენკომ (მარჯვნივ) თურქებსაც გაუტანა

*28 სექტემბერი. მილანი — ჰერტა; ჩელსი — გალათასარაი*

| | H ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ჰერტა | | 20.X | 26.X | 2:1 | 4:3 | 4 |
| 2 | მილანი | 28.IX | | 2:1 | 26.X | 2:1 | 4 |
| 3 | გალათასარაი | 2:2 | 3.XI | | 20.X | 3:4 | 1 |
| 4 | ჩელსი | 3.XI | 0:0 | 28.IX | | 1:2 | 1 |

# ბერლუსკონი ისევ ევროლიგას მოითხოვს

„მილანის“ პრეზიდენტის სილვიო ბერლუსკონის განცხადებით, ჩემპიონთა ლიგაში აუცილებელია სტრუქტურული ცვლილების განხორციელება. მისი აზრით, დღევანდელი, ერთობ გაბერილი ლიგა ძალიან გადამღლელია და ეროვნული ჩემპიონატების ნორმალურად ჩატარებასაც ხელს უშლის: „რაღაც უნდა მოვიფიქროთ, თორემ შინაურ პირველობებში წამყვანი და საშუალო კლუბები მეტად უთანაბრო მდგომარეობაში აღმოჩნდნენ“ — უთხრა ბერლუსკონიმ „გაძეტა დელო სპორტს“. ასე მაგალითად, საშუალო გუნდებს, რომლებიც ლიგაში არ მონაწილეობენ კონკურენტებთან შედარებით ნაკლები მატჩების ჩატარება უწევთ. ყოველივე ამან კი შეუძლებელია შედეგი არ გამოიღოს. „მილანმა“, რომელიც შარშან ევროთასებზე არ მონაწილეობდა, იტალიის პირველობა მოიგო. მსგავს მდგომარეობაშია წლეულს „ინტერი“ და ბერლუსკონი დარწმუნებულია, რომ ვიერისა და კომპანიისთვის ეს დიდი კოზირია: „ამ მხრივ შარშან უპირატესობა ჩვენ გვქონდა, ახლა მათი ჯერია. ამიტომ საჭიროა, რაღაც შეიცვალოს. გამოდის, რომ ჩემპიონთა ლიგა იმას აძლევს ხელს, ვინც მასში არ მონაწილეობს. ერთი შეხედვით განზე დარჩენილი გუნდები უკეთეს მდგომარეობაში არიან, რაც დაუშვებელია“.



სილვიო ბერლუსკონი

ჩემპიონთა ლიგის გაფართოებამ წლევანდელი ევროსეზონი მართლაც წარმოუდგენლად გადატვირთა. ეს განსაკუთრებით ინგლისურ კლუბებს ეხება, რომლებსაც ისედაც მჭიდრო კალენდარი კიდევ უფრო დაუმძიმდათ. ნათელი ხდება, ასეთ რიტმს მხოლოდ მდიდარმა გუნდებმა შეიძლება გაუძლონ, ანუ მათ, ვისაც გრძელი სათადარიგოთა სკამი აქვს და ლამის ორი სრულფასოვანი შემადგენლობა ჰყავს. აბა, წარმოიდგინეთ „მანჩესტერ იუნაიტედის“ მდგომარეობა, რომელსაც ყველაფერთან ერთად იანვარში მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატშიც მოუწევს გამოსვლა. ჯერ კიდევ არავინ იცის, როგორ აიტანენ ფეხბურთელები ამდენ თამაშსა და მგზავრობას.

სილვიო ბერლუსკონი ჩემპიონთა ლიგას აკრიტიკებს და კვლავ ერთიანი ევროლიგის იდეას უბრუნდება. მისი თქმით, მხოლოდ ევროლიგას შეუძლია მდგომარეობის გამოსწორება. პირველ დივიზიონში მთელი კონტინენტის უძლიერესი გუნდები ითამაშებენ, მეორეში კი დანარჩენები. ამ შემთხვევაში ელიტარული კლუბებისთვის კომერციული სარგებელიც მნიშვნელოვნად გაიზრდება. ევროლიგის მატჩები ოთხშაბათობით გაიმართება, ეროვნული ჩემპიონატები კი შაბათობით“ — ასკვნის ბერლუსკონი.

## ფეხბურთის რუკასთან

**თურქეთის** პირველი დივიზიონის მორიგი ტური, რომელიც 1-3 ოქტომბერს უნდა გამართულიყო, იმავე თვის 15-17 რიცხვისთვის გადაიდო. ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის ეს გადაწყვეტილება იმით აიხსნება, რომ ეროვნულ ნაკრებს ევროპის ჩემპიონატის ბოლო შესარჩევი მატჩი ელის. შეგახსენებთ, რომ 9 ოქტომბერს თურქები ქვეჯგუფში თავიანთ უშუალო კონკურენტ გერმანელებს ესტუმრებიან და მათთან ჯგუფში პირველი ადგილისთვის მეტად პრინციპულ მატჩს გამართავენ. თურქეთის ჩემპიონატი ისედაც დაგეგმილზე გვიან დაიწყო, ჯერ მხოლოდ 4 ტურია ჩატარებული. მიზეზი ქვეყანაში მომხდარი მიწისძვრაა, რომელმაც 15 600 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა.

**რუსული კლუბი, მოსკოვის ცსკა მინიმუმ ერთი კვირით წამყვანი ფეხბურთელის — სერგეი სემაკის გარეშე დარჩება. იგი გასულ შაბათს რუსეთის ჩემპიონატის მორიგი ტურის მატჩში დაშავდა, თუმც თამაში მაინც განაგრძო, რამაც ტრავმა გაურთულა. კლუბის ექიმის განცხადებით, სემაკი ჩემპიონატის მომავალი ტურის შეხვედრას გამოტოვებს.**

**შოტლანდიური** „გლაზგო რეინჯერსის“ ერთ-ერთ ფანს თანაქალაქური „სელტიკის“ ქომაგის მკვლელობისათვის პატიმრობა მიესაჯა. მკვლელმა დაკითხვის დროს აღიარა, რომ წლეულს, მაისში, „რეინჯერსსა“ და „სელტიკს“ შორის გამართული მატჩის შემდეგ, შელაპარაკებისას მოკლა 16 წლის ტომას მაკფადენი. მოგეხსენებათ, „რეინჯერსის“ გულშემატკივრები პროტესტანტები არიან, ხოლო „სელტიკის“ — კათოლიკები. მათ შორის მსგავსი ინციდენტი პირველი შემთხვევა არ გახლავთ.

**პარაგვაელი მეკარე რუბენ რუის დიასი ერთობ შეშფოთებულია სატელეფონო ზარებით. მას სიკვდილით ემუქრებიან იმ შემთხვევაში, თუ არგენტინულ გუნდ „ესტუდიანტესს“ არ დატოვებს და „ასუნსიონს“ არ დაუბრუნდება. ფეხბურთელსაც პოლიციის თანხლებით უხდება ვარჯიში, თუმცა ახლა საქმე გართულდა — ბოლო ორი კვირაა, მკვლელი მის ოჯახის წევრებსაც ემუქრება. 29 წლის დიასი, რომელიც პარაგვაის ნაკრებს 1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზეც ახლდა, დაბნეულია და ვერ გადაუწყვეტია, თუ სად განაგრძოს თამაში.**

**არგენტინის** ნაკრების ყოფილმა თავდამსხმელმა კლაუდიო კანიჯამ, რომელიც წლეულს „ბოკა ხუნიორსიდან“ სერია B-ში მოასპარეზე ბერგამოს „ატალანტაში“ გადავიდა, ამ უქმეებზე პირველი სადებიუტო მატჩი ჩაატარა. იგი 71-ე წუთზე შევიდა შეცვლაზე „ნაპოლის“ წინააღმდეგ, მისმა ახალმა გუნდმა კი 1:0 გაიმარჯვა. გრძელთმიანი არგენტინელი, რომელსაც მარადონასთან ერთად თავისი ქვეყნის ნაკრების რიგებში ორ მსოფლიოს ჩემპიონატზე უთამაშია, ახლა წელიწადში 1,6 მილიონ დოლარს მიიღებს. აღსანიშნავია, რომ 1989-92 წლებში კანიჯა სწორედ „ატალანტას“ ღირსებას იცავდა, მაშინ ეს გუნდი სერია A-ში ასპარეზობდა. კლაუდიომ იქ 85 მატჩი ჩაატარა და 26 გოლი გაიტანა. ამის შემდეგ იგი „რომაში“ გადავიდა, 1993 წელს კი სისხლში კოკაინის შემცველობა აღმოაჩნდა და 13-თვიანი დისკვალიფიკაცია მიესაჯა. ეს დრო კანიჯამ პორტუგალიაში გაატარა.

**გერმანული ბერლინის „ჰერტას“ განცხადებით, ნახევარმცველი რენე ტრეტშოკი ექვს კვირას ვერ ითამაშებს. მას, „ჩელსის“ წინააღმდეგ, ჩემპიონთა ლიგის მატჩში მარცხენა ფეხი დაუზიანებია.**

## მერკოსურის თასი

**E ქვეჯგუფში** ერთმანეთს ბრაზილიური „ფლამენგო“ და ჩილეს „კოლო კოლო“ შეხვდნენ. „ფლამენგოს“ რიგებში საკმაოდ აქტიურობდა ბრაზილიის ნაკრების ყოფილი ფორვარდი რომარიო, რომელსაც მეორე ტაიმში 10 წუთის განმავლობაში ორი კარგი საგოლე მომენტი შეექმნა, მაგრამ ბურთი ორჯერვე კარის ძელს ზემოდან გადააცილა.

მატჩის პირველ ნახევარში „ფლამენგომ“ კაიოსა და მარკო ანტონიოს გოლებით ორბურთიანი უპირატესობა მოიპოვა, მაგრამ ანგარიშის ბოლომდე შენარჩუნება ვერ შეძლო და მატჩი საბოლოოდ ფრედ — 2:2 დასრულდა. ჩილელთაგან თავი რაულ მუნიოსმა და ფერნანდო ვერგარამ გამოიჩინეს.

**E ქვეჯგუფს** 5 თამაშიდან 9 ქულით პარაგვაის „ოლიმპია“ ლიდერობს. მას 1 ქულით „კოლო კოლო“ ჩამორჩება. „ფლამენგოს“ 7 ქულა აქვს.



REUTERS რიოდან

ბრაზილიელი კაიო ჩილელ რაულ მუნიოსს გაურბის

# რუსეთი უკრაინას მოსკოვში დაუხვდება

**რუსეთ-უკრაინის** ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი 9 ოქტომბერს მოსკოვში გაიმართება. ეს გუშინ უკრაინელებმაც ოფიციალურად დაადასტურეს. უკრაინის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის თანაშემწის, ვალენტინ გოლოვკოს თქმით, იქაურები უეფაში არანაირი მოთხოვნის გაგზავნას არ აპირებენ.

შეგახსენებთ, რომ წინა კვირაში გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს მოსკოვში გახშირებული ტერაქტების გამო უკრაინელები ჯგუფის გადამწყვეტი შეხვედრის ნეიტრალურ მინდორზე გადატანას ითხოვდნენ. ეს ცნობა მთლად უსაფუძვლო რომ არ იყო, უკრაინელთა მთავარი მწვრთნელის, იოჟეფ საბოს განწყობაც ადასტურებს. საბომ ჟურნალისტებს უთხრა, ცუდი არ იქნება, თუ თამაში არეულ მოსკოვში არ ჩატარდებაო. მაგრამ, როგორც ჩანს, მხარეები შეთანხმდნენ და ჭორებსაც ბოლო მოეღო. „სამწუხაროდ, პირველი შემთხვევა არაა, როცა ევროპული დონის მატჩი რთულ პირობებში უნდა გაიმართოს. თუმცა ამ მხრივ რაღაც გამოცდილება უკვე შევიძინეთ“ — ამბობს გოლოვკო.

„იტარ ტასის“ ცნობით, რუსებს უსაფრთხოებისთვის ზრუნვა აქედანვე დაუწყიათ. გოლოვკოს თქმით, უკრაინისა და რუსეთის საფეხბურთო მოხელეები ყოველდღე ეხმიანებიან ერთმანეთს. დღეს მოსკოვში უეფ-ის ვიცე-პრეზიდენტი ვლადიმირ ლაშკული და ნაკრების ერთ-ერთი მწვრთნელი ვლადიმირ ვერემეევი ჩავლენ. ისინი უკრაინის ნაკრების მომავალ საცხოვრებელ და საწვრთნელ ადგილებს შეარჩევენ, აგრეთვე ტრანსპორტისა და სხვა საორგანიზაციო საკითხებს მოაგვარებენ.

უეფას გადაწყვეტილებით, 9 ოქტომბერს მეოთხე ჯგუფში ორივე გადამწყვეტი მატჩი (რუსეთი — უკრაინა, საფრანგეთი — ისლანდია) ერთსა და იმავე, თბილისის დროით საღამოს 9 საათზე დაიწყება.

# ბელგიური თავსატეხი

**ორი** კვირის წინ „ბრიუგესა“ და „ანდერლეხტს“ შორის ჩაშლილი მატჩი სავარაუდოდ 15 დეკემბერს გაიმართება. ბელგიის ფეხბურთის ფედერაციამ უარყო მოთხოვნა „ანდერლეხტისთვის“ ტექნიკური (5:0) მოგების ჩათვლის შესახებ. შეგახსენებთ, რომ საქმე ხულიგნობის ფაქტს ეხება. გასულ სეზონში ამავე გუნდების მატჩის დროს „ანდერლეხტის“ გულშემატკივრებმა ტრიბუნიდან პლასტიკატის სკამები ააძრეს და მინდორზე გადაყარეს. შედეგად, 12 სექტემბერის მატჩისთვის ბრიუგეს მერმა „ანდერლეხტის“ ფანებისთვის ბილეთების მიყიდვა აკრძალა.

დღეისთვის ბელგიის ჩემპიონატში „ბრიუგესა“ და „ანდერლეხტს“ 13-13 ქულა აქვთ და მეორე-მესამე ადგილებს იყოფენ, პირველზე კი 15 ქულით გელა შეყილაძის „ლიერსია“, თუმცა მეტოქეებზე მატჩით მეტი აქვს ნათამაშევი.

# იოჰან კრუიფი ჩემპიონთა ლიგას აკრიტიკებს



**ლეგენდარულ** მფრინავ ჰოლანდიელს წლევანდელი ჩემპიონთა ლიგის გათამაშება სასტიკად არ მოსწონს. მას მიაჩნია, რომ გუნდების რაოდენობის გაზრდა მხოლოდ ფინანსურ მიზნებს ისახავს და ფეხბურთის სანახაობრივ მხარეს სულაც არ აუმჯობესებს. ისეთი გუნდები, როგორიც „მოლდე“ და აიკ-ია, მისი აზრით, ჩემპიონთა ლიგაში არ უნდა ასპარეზობდნენ.

შეგახსენებთ, რომ როდესაც კრუიფის მეთაურობით 1992 წელს „ბარსელონამ“ ჩემპიონთა ლიგა მოიგო, ტურნირში მხოლოდ 8 გუნდი მონაწილეობდა.

კრუიფი თავის მოსაზრებას სამშაბათს მადრიდში მომხდარი ფაქტითაც ადასტურებს, სადაც „რეალის“ თამაშს ნორვეგიული „მოლდეს“ წინააღმდეგ მშობლიურ „სანტიაგო ბერნაბეუზე“ მხოლოდ 15 ათასი მაყურებელი დაესწრო. ეს კი ბოლო წლების ყველაზე ცუდი მაჩვენებელია.

„ნამდვილი ლიგა მხოლოდ მარტში დაიწყება“ — ამბობს კრუიფი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბატუტზე ხტომა

# სან სიტი — ლიცენზია სიტი

## გერმანიაში ნავარჯიშევი რუსუდან ხოფერია და ზაზა აბრამიშვილი სამხრეთ აფრიკაში ოლიმპიური ლიცენზიების მოსაპოვებლად წავიდნენ


გაფარ ქოთილაძის ფოტო

ზაზა აბრამიშვილი

დღეს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ქალაქ სან სიტიში ბატუტისტთა მსოფლიოს ჩემპიონატი იწყება. ეს ტურნირი წინამორბედთაგან იმით განსხვავდება, რომ პირველად გათამაშდება ოლიმპიური ლიცენზიები.

სიდნეიში სპორტის ამ სახეობის დებიუტი იქნება. საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა ბატუტისტებს 24 ადგილი გამოუყო, რომელიც საერთაშორისო ფედერციამ თანაბრად უნდა გაანაწილოს ქალებსა და კაცებს შორის. საერთაშორისო ფედერაციამ ამით ისარგებლა და გადაწყვიტა, ლიცენზიები გეოგრაფიული პრინციპით გაანაწილოს. ეს მსოფლიოში ბატუტის პოპულარიზაციისთვის კეთდება, მისი არსი კი შემდეგშია — ლიცენზიას ქვეყნიდან მხოლოდ ერთი სპორტსმენი მიიღებს. სან სიტიში სულ 10 ლიცენზია გაიცემა. ეს ნიშნავს, რომ მათ მიაკუთვნებენ მოწინავე ათ ადგილზე გასულ ქვეყანას და არა სპორტსმენს. ამიტომ ეს სანუკვარი საგზური შეიძლება ათეულს მიღმა დარჩენილმა ბატუტისტმაც მიიღოს. რაც შეეხება დანარჩენ ორ ლიცენზიას, მას საერთაშორისო ფედერაცია პერსონალური მიწვევის პრინციპით გაანაწილებს.

სიდნეიში წასვლის უფლების მოსაპოვებლად რუსუდან ხოფერია და ზაზა აბრამიშვილიც იბრძოლებენ. სამწუხაროდ, ერთ დროს ძლიერ ქართულ საბატუტო სკოლას სან სიტიში კანდიდატთა ასარჩევად საქმე ნამდვილად არ ექნება. მამაკაცთაგან აბრამიშვილზე სახელოვანი არავინაა, ხოლო რაც შეეხებათ ქალებს, ანა დოლონაძე გერმანიაში გადავიდა საცხოვრებლად და ახლა ამ ქვეყნის სახელით შეეცილება ხოფერიას ლიცენზიას, ლია ბენდიაშვილმა კი სპორტთან დიდი ხნის განშორების მერე ადაპტაცია ისე ვერ გაიარა, ამხელა მიზნებს რომ შეეჭიდოს. ხოფერიაც და აბრამიშვილიც სან სიტიში ლიცენზიის მოპოვებას შეეცდებიან, საამისო საბაბს მათ წლევანდელი მცირე, მაგრამ საკმაოდ წარმატებული საშეჯიბრო პრაქტიკა აძლევთ. მაისის შუაგულში ხოფერია მსოფლიოს თასის პირველ ეტაპზე გერმანულ აახენში მეოთხე ადგილზე გავიდა, რამდენიმე დღეში კი იმავე თასის მეორე გათამაშებაში სანკტ პეტერბურგში გაიმარჯვა. აბრამიშვილი ორივეგან მეხუთე იყო. შეგახსენებთ, რომ ეს ტურნირები ზაზასთვის სპორტთან შვიდწლიანი განშორების მერე პირველი იყო.

ამ ეტაპებს ხანგრძლივი შესვენება მოჰყვა. უფულო ფედერაციამ სპორტსმენები ვერსად გაგზავნა. ივლისის დასაწყისში ინგლისში წასასვლელად თანხა კი გამოიძებნა, მაგრამ ზუსტად იმ დროს ხოფერია პირადი პრობლემების გამო ვერ ვარჯიშობდა. ამიტომ ფედერაციამ მარტო ზაზას, ან უვარჯიშებელი რუსუდანის ბრიტანეთში გამგზავრება მიზანშეუწონლად მიიჩნია. რა გაეწყობოდა და ისინიც აქ ვარჯიშობდნენ დოლონაძეში გაცვლილ თანამედროვე ტიპის ბატუტებზე, სექტემბრის დასაწყისში კი ფრანკფურტში წავიდნენ. გერმანელებთან მოლაპარაკების თანახმად, ჩვენებურებს იქ ოლიმპიადამდე რვა თვე უფასოდ ავარჯიშებენ. ხოფერია და აბრამიშვილი „შავ კონტინენტსაც" გერმანიიდან ეწვევიან.

სან სიტიში ამ ტურნირთან ერთად აკრობატთა მსოფლიოს პირველობაც გაიმართება. რადგან ეს ორი სახეობა ერთ საერთაშორისო ფედერაციაშია გაერთიანებული, მათი კალენდარი იდენტურია. ამიტომ ტურნირებიც ერთსა და იმავე დროს და ადგილას ტარდება. საქართველოდან იქ ვეფხია ხუბაევი გამოვა, რომელსაც საშეჯიბრო პრაქტიკა, ბატუტისტების მსგავსად, აკლია. ის ვერც იმ ორ მსოფლიოს თასის ეტაპზე გაუშვეს, სტავროპოლში კი, სადაც ორ საერთაშორისო ტურნირში იასპარეზა, მეორე-მესამე ადგილები დაიკავა და მერე შეკრებაც იქვე გაიარა.

**ირაკლი თავაძე**


გაფარ ქოთილაძის ფოტო

რუსუდან ხოფერიას, როგორც იქნა, ანა დოლონაძის სანაცვლო ახალ ბატუტზე შინ ვარჯიში ელირსა

ჭიდაობა

# 66: ხაბარელის თავის ტკივილი

დღეს ათენში ბერძნულ-რომაულად მოჭიდავეთა მსოფლიოს ჩემპიონატი იწყება. ელადის დედაქალაქში თითოეული წონის რვა საუკეთესო ფალავანი სიდნეის ოლიმპიადის ლიცენზიას გამოჰკრავს ხელს. დღეს ჩაებმებიან შეჯიბრში ალექსანდრე ცერცვაძე (54), აკაკი ჩაჩუა (63), ტარიელ მელელაშვილი (76) და გენადი ჩხაიძე (97), ხოლო კობა გულიაშვილი (58), გიორგი ჯინჭველაშვილი (69), მუხრან ვახტანგაძე (85) და დავით ენდელაძე (მძიმე) პირველ ორთაბრძოლებს ხვალ ჩაატარებენ. ზეგ უკვე პირველი მედალოსნებიც გამოვლინდებიან.

ვიდრე ესენი მეტოქეებთან შეხვედრებზე ფიქრობენ, ძიუდოისტები და თავისუფლად მოჭიდავენი კარს მომდგარი მსოფლიოს პირველობების წინ ბოლო შეკრებებს გადიან.

თავისუფლები მთავარმა მწვრთნელმა ზაზა თურმანიძემ გუშინ წაიყვანა ბორჯომში, სადაც გუნდმა სულ ახლახან გაიარა შეკრება. ნაკრებიც საბოლოოდ სწორედ მაშინ დაკომპლექტდა, თუმცა გასარკვევი მხოლოდ ორი წონა — 54 და 76 იყო. პირველში ერთმანეთს გიორგი გაგიშვილი და გოჩა კირკიტაძე ეცილებოდნენ სანაკრებო ადგილს, მეორეში კი მუდმივი მეტოქენი — ალექსანდრე კახნიაშვილი და რევაზ მინდორაშვილი. საკონტროლო შეხვედრებში გაგიშვილმა და კახნიაშვილმა იმარჯვეს. საბოლოოდ ნაკრები ასეთი შემადგენლობით გაემგზავრება ანკარაში, სადაც 7-10 ოქტომბერს მსოფლიოს ჩემპიონატი გაიმართება — გიორგი გაგიშვილი (54), ოთარ თუშიშვილი (58), დავით პოღოსიანი (63), ემზარ ბედინეიშვილი (69), ალექსანდრე კახნიაშვილი (76), გოჩა ჩიხრაძე (85), ელდარ კურტანიძე (97), ალექსანდრე მოდებაძე (მძიმე).

ძიუდოისტები კი ორშაბათიდან გორში გადიან დასკვნით შეკრებას. მათი მსოფლიოს ჩემპიონატიც 7-10 ოქტომბერს ჩატარდება, ოღონდ, ინგლისურ ბირმინგემში. მთავარმა მწვრთნელმა შოთა ხაბარელმა იქ წასაყვანი გუნდი კი შეიგულა, მაგრამ მარადიული დავა 66 კგ წონაში ვაზაგაშვილსა და რევაზიშვილს შორის ჯერაც გადაუწყვეტელია. ხაბარელი აქ რევაზიშვილის დაყენებას აპირებს, ვაზაგაშვილის კი — 73-ში. როგორც ფედერაციაში გვითხრეს, ვაზაგაშვილი თურმე 73-ში საერთოდ არ აპირებს ჭიდაობას და თუ 66-ში არ გაამწესებენ, ნაკრებიდან წასვლით იმუქრება. ვნახოთ, რას გადაწყვეტს მწვრთნელი და რას მოიმოქმედებს „ვაზაგა".

დანარჩენ წონებში კი ნესტორი ხერგიანი (60), სოსო ლიპარტელიანი (81), გია გუგავა (90), ივერი ჯიქურაული (100), რამაზ ჩოჩიშვილი (მძიმე) და ალექსი დავითაშვილი (აბსოლუტური) გამოვლენ.

**ირაკლი თავაძე**

რეფერენდუმი

# საქართველოს საუკუნის სპორტსმენები

## სამი კითხვა ლაურეატს

*1. დაგვისახელეთ თქვენი სპორტული კარიერის ყველაზე სასიხარულო და ყველაზე გულდასაწყვეტი ეპიზოდები.*
*2. ქართული სპორტი კრიზისშია. რაში ხედავთ გამოსავალს?*
*3. ვინ მიგაჩნიათ საქართველოს XX საუკუნის სამ საუკეთესო სპორტსმენად?*

### რომან რურუა

**ბერძნულ-რომაული ჭიდაობა**

დაიბადა 1942 წლის 25 ოქტომბერს მარტვილის რაიონის სოფელ მუხურჩაში. სპორტის დამსახურებული ოსტატი. საბჭოთა კავშირის ექვსგზის (1963-65, 1967, 1970, 1971) ჩემპიონი, საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადების სამგზის (1963, 1967, 1971) ჩემპიონი, მსოფლიოს ოთხგზის (1966, 1967, 1969, 1970) ჩემპიონი, ტოკიოს ოლიმპიადის (1964) ვიცე-ჩემპიონი, მეხიკოს ოლიმპიადის (1968) ჩემპიონი



1. სასიამოვნოდ გასახსენებელს რა დამილევს, მაგრამ მაინც პირველ წარმატებებს გამოვარჩევ. ესაა საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადაზე გამარჯვება 1963 წელს და პირველი მსოფლიოს ჩემპიონობა 1966 წელს.

გული კი ნამდვილად არაფერზე მწყდება. ჩინებული სპორტული ბიოგრაფია მქონდა. არაფერზე ვნანობ.

2. გამოსავალს რაში ვხედავ? სახელმწიფო უნდა დაინტერესდეს სპორტის წინსვლით.

3. ლევან თედიაშვილი, გივი კარტოზია, ვიქტორ სანეევი
ნონა გაფრინდაშვილი, მაია ჩიბურდანიძე, ნანა ალექსანდრია




# დაასახელეთ თქვენი რჩეული

ქართული სპორტის ისტორიას მრავალი გამოჩენილი სპორტსმენის სახელი ამშვენებს, მაგრამ ვინ იყო საუკეთესო საუკეთესოთა შორის, ვინ არის გულშემატკივრის რჩეული?

ამ კითხვაზე პასუხს გაგვცემს სპორტის მოყვარულთა სატელეფონო გამოკითხვა, რომელსაც ***საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაცია*** აწყობს ***კომპანია „მეგაკომთან"*** ერთად.

**ჩვენი ტელეფონებია:** 99-94-09, 97-36-60, 97-36-61, 97-36-62.

დარეკეთ სამუშაო დღეებში, 11-დან 15 საათამდე.

**დარეკეთ და დაასახელეთ თქვენი რჩეული!**

გამოკითხვის შედეგები გამოქვეყნდება 19 ოქტომბერს, სახელმწიფო ფილარმონიის დიდ დარბაზში.

*ამონაწერი რეფერენდუმის დებულებიდან: „საგანგებო ნომინაციაში ლაურეატი (ერთი სპორტსმენი) ვლინდება სპორტის გულშემატკივართა გამოკითხვით. გამარჯვებულად ცხადდება სპორტსმენი, რომელიც ყველაზე მეტ ხმას მიიღებს. ლაურეატს ენიჭება ტიტული — „გულშემატკივრის რჩეული".*

სარეფერენდუმო კომიტეტი,
საქართველოს სპორტულ
ჟურნალისტთა ასოციაცია

სსჟა

მეგაკომი

# მაიამელი რუსი გოგო მიყვარს ძილი და შოკოლადი

18 წლის ანა კურნიკოვას ფენომენი ჩოგბურთის სამყაროს მნიშვნელოვნად სცილდება. ქერა, საფირმო ნაწნავ-მოფრიალე რუსს უცხოეთის პრესტიჟული გამოცემები პლანეტის 50 ულამაზეს ადამიანს შორის მოიხსენიებენ და ჩაცმულობითაც ყველაზე გემოვნებიან ვარსკვლავთა რიცხვს მიაკუთვნებენ. მიუხედავად იმისა, რომ კურნიკოვას ჯერ ერთი ტურნირიც არ მოუგია თავის პროფესიონალურ კარიერაში, პოპულარობით იგი მსოფლიოს ნებისმიერ, ყველაზე ტიტულიან ჩოგბურთელს ჯობნის, მხოლოდ მისი გამოჩენა მრავალი ქვეყნის ტრიბუნებს ავსებს პირთამდე.

ჟურნალისტებთან ანა მხოლოდ პრესკონფერენციებზე ჩნდება ხოლმე, თანაც ათასი ჭორის საბაბად გამხდარ პირად ცხოვრებაზე საუბარს მტკიცედ უარობს. ჟურნალ „რუდდნ"-ში გამოქვეყნებული ექსკლუზიური ინტერვიუ ამ წესიდან იშვიათი გამონაკლისი გახლავთ


ფოტორეპორტიორთა ნებიერა ანა კურნიკოვა რუსი ქალის სიმბოლოდ იქცა


ამბავი ძველი სიყვარულისა: ანა და სერგეი ფიოდოროვი

**— ანა, თქვენ რუსეთი მაშინ დატოვეთ, როდესაც 9 წლის იყავით...**

— საიდან მოიტანეთ, რომ რუსეთი დავტოვე? მე, უბრალოდ, ამერიკაში სავარჯიშოდ წავედი. მაიამიში ყველაფერია ამისთვის: კარგი კორტები, მზე, ვიტამინებით მდიდარი კვება. ამასთან, მოსკოვი დიდი ქალაქია, მგზავრობაზე ძალიან დიდი დრო გეხარჯება. იმისთვის, რომ სპორტში რაიმეს მიაღწიო, ვარჯიშზე მაქსიმალურად უნდა იყო კონცენტრირებული. მე და დედაჩემმაც მივიჩნიეთ, რომ ამერიკაში ამის გაკეთება გაცილებით იოლი იქნებოდა.

**— მაშ, თავს ისევ რუსად გრძნობთ?**

— მე ორივე ქვეყნიდან ყველაფერი საუკეთესო შევითვისე. ამერიკაში მარტივად ცხოვრება ვისწავლე — დარეკავ და პიცას შინ მოგართმევენ. რუსეთში ისტორიის, წიგნებისა და მუზეუმების გარდა არაფერი გაქვს. ეს რკინის ხასიათს გიმუშავებს, თუ, რა თქმა უნდა, ცხოვრებაში რაიმეს მიღწევა გინდა. მე კი იმათ რიცხვს ვეკუთვნი, ვისაც ეს სურს. ბავშვობიდან მივხვდი, რომ ხასიათის, ნებისყოფის გარეშე ვერაფერს მიაღწევ.

*ანას ამ მეტისმეტად „ჭარმაგ" სიტყვებში დედის, ალას დიდი ზეგავლენა გამოსჭვივის. მსოფლიოს ყველაზე ცნობილ მწვრთნელ ნიკ ბოლეტიერისთან მოხვედრასაც სწორედ მას უნდა უმადლოდეს.*

*ბოლეტიერი იხსენებს, როგორ მივიდა ერთხელ მასთან მომხიბლავი ახალგაზრდა ქალი, რომელსაც პატარა გოგონასთვის ჩაეკიდებინა ხელი: „მე ალა კურნიკოვა ვარ, ეს ჩემი ქალიშვილი ანაა. ჩვენ ძალიან გვსურს თქვენთან ვარჯიში". „ჩვენ? ვერ გავიგე, ჩემთან რომელს სურს ვარჯიში?" — მიუგო ნიკმა.*

*ბოლეტიერის ასე პატარა ასაკის მოწაფეები საერთოდ არ აჰყავს, მაგრამ ალას — წარსულში არცთუ წარმატებული მძლეოსნის ზეწოლას ვერ გაუძლო.*

*ახლაც კი, სრულწლოვანობისა და უდიდესი პოპულარობის მიუხედავად, ანა გადაწყვეტილებებს მარტო არასოდეს ღებულობს, ბოლო სიტყვა ყოველთვის დედაზეა. სწორედ ალამ მოიწონა თავის დროზე ქალიშვილისთვის 28 წლის ჰოკეისტის, „დეტროიტ რედ უინგზის" სუპერვარსკვლავის, სერგეი ფიოდოროვის ბოიფრენდობის კანდიდატურა.*

**— ამბობენ, რომ სერგეი ფიოდოროვს დაშორდით, მაგრამ მერე თქვენს ხელზე ბრილიანტის ბეჭედი შეამჩნიეს და... — ახლა ამტკიცებენ, რომ ეს სერგეის საჩუქარია თქვენს ნიშნობაზე...**

— არ მსურს ამაზე საუბარი. უბრალოდ, პირად ცხოვრებაში ყველაფრის განდობის დრო ჩემთვის ჯერაც არ მოსულა. როცა ეს მოხდება, ნებისმიერ შემხვედრს ყველა წვრილმანს მოვუყვები, პრობლემა არ იქნება. არ გჯერათ? მანამდე კი ჩემს საიდუმლოს არავის გავანდობ.

**— კარგით, მაშინ უფრო ზოგად თემებზე ვისაუბროთ. რა თვისებებს აფასებთ მამაკაცებში?**

— მამაკაცი კარგი დასაყრდენი უნდა იყოს. ქალისთვის, რა თქმა უნდა.

**— გყავთ ასეთი დასაყრდენი?**

— მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ ყველაფერი ჩინებულადაა, ბედნიერი ვარ.

**— თქვენ უკვე 18 წლის გახდით, სრულწლოვანი, ყველაზე მნიშვნელოვანი გაკვეთილი მშობლებისგან უკვე მიიღეთ?**

— ო, მე საშინელი მშობლები მყავნან, ალბათ, მსოფლიოში არც ერთი გოგონასთვის არ ჩაუტარებიათ იმდენი ლექცია, რაც ჩემთვის დედიჩემმა, მაგალითად, [illegible] შრომა მასწავლა. მან შთამაგონა, რომ თუ ბევრს ივარჯიშებ, წარმატება აუცილებლად მოვა. მამამ კი... იგი ყოველთვის მეუბნებოდა, რომ მე ყველაზე ლამაზი გოგო ვარ დედამიწაზე, მე ხომ მას ვგავარ.

**— ბევრი ამბობს, რომ კურნიკოვა ჩოგბურთელებს მოუწოდებს, უფრო ქალურები იყვნენ...**

— აბა, სხვაგვარად როგორ იქნება? ჩვენ ქალების ჩოგბურთს წარმოვადგენთ, სადაც სპორტსმენები ქვედაკაბებს ატარებენ, ე.ი. ქალბატონებივით უნდა გამოიყურებოდნენ.

**— მაინც, რა უფრო მნიშვნელოვანია კორტზე — მიმზიდველობა თუ წარმატებები?**

— რა თქმა უნდა, ჩოგბურთი! მე ყოველთვის მსურდა, კარგი ჩოგბურთელი გავმხდარიყავი, იმდენად კარგი, რამდენადაც შემეძლებოდა. არ მესმის, რატომ არ შეიძლება ამასთან ერთად მიმზიდველ ქალადაც დარჩე?

**— ანა, არასოდეს დაფიქრებულხართ, რას გააკეთებთ, როდესაც ჩოგბურთიდან წახვალთ? იქნებ მოდელი გამხდარიყავით?**

— ო, ეს ძალიან საინტერესოა. მაგრამ როდესაც კორტზე გამოსვლას დავასრულებ, დაახლოებით 30 წლის ვიქნები — საკმაოდ ბებერი, ირგვლივ კი ახალგაზრდა ლამაზი გოგონების ზღვა იქნება. თუმცა, თუ ჩემით რომელიმე მოდელიორი დაინტერესდება...

**— ჩაცმა-დახურვა ძალიან გიყვართ, მაგრამ საზოგადოებაში იშვიათად ჩნდებით-ხოლმე. ცოტა არ იყოს, გაუგებარია...**

— ელიტარული საზოგადოების ცხოვრება ღამით ჩქეფს, მე კი ძილი მიყვარს. ჩვეულებრივ შინ რვის ნახევარზე ვბრუნდები, ცოტა ხანს ტელევიზორს ვუყურებ და ლოგინისკენ მივეშურები. შემიძლია, 24 საათი ვიძინო! და თუ მეორე დღეს ვარჯიში არ მაქვს, ვერც ვერავინ გამაღვიძებს. სხვათა შორის, ძილი სილამაზის საუკეთესო ელექსირია.

**— კიდევ რას აკეთებთ იმისთვის, რომ კარგად გამოიყურებოდეთ? რაიმე დიეტას ხომ არ იცავთ?**

— იცით, დიეტაზე ფიქრისთვის დრო არ მრჩება, რადგან სპორტით სერიოზულად ვარ დაკავებული. თუმცა, ზედიზედ სამ დესერტს მაინც არ შევჭამ. ისე, ერთი ნამდვილი სისუსტე გამაჩნია...

**— რა?**

— ძალიან მიყვარს შოკოლადი, განსაკუთრებით — რუსული.

თარგმნა **ავთანდილ სვანიძემ**

# სამხრეთ აფრიკა მსოფლიოს მპრანჭება

დიდი ხანია სამხრეთაფრიკელებს გულში ამოუჭრიათ ფეხბურთში მსოფლიოს ჩემპიონატისა და ოლიმპიური თამაშების მასპინძლობის სურვილი და არა მარტო ამათი...

მაგრამ მსოფლიოს ჩემპიონატისა თუ ოლიმპიური თამაშების სამასპინძლოდ მხოლოდ სურვილი და დიდძალი ფული ბევრს არ ნიშნავს, რადგან ერთ-ერთი უმთავრესთაგანი ორგანიზაციული საკითხების გაძღოლის უნარიცაა. ამ უკანასკნელის გარეშე წარმოუდგენელია, აცხადებდე პრეტენზიას ამა თუ იმ დიდი ღონისძიების მასპინძლობაზე. ორგანიზაციული მარიფათისა და შესაძლებლობების წარმოჩენის კარგი საშუალება კი კომპლექსური კონტინენტური შეჯიბრებების მასპინძლობაა. სწორედ ამგვარი გამოცდა ჰქონდა ამ დღეებში სამხრეთ აფრიკას, კერძოდ, იოჰანესბურგს, რომელმაც სრულიად აფრიკის თამაშებს უმასპინძლა.

სტუმარ-მასპინძელთა სამწუხაროდ, ამ თამაშებზე ყველაფერი რიგზე ვერ იყო. პრობლემებმა უფრო მძლეოსნობასა და ძიუდოში იჩინა თავი. ამ სახეობათა წარმომადგენელნი მოუწესრიგებელი განრიგით იყვნენ უკმაყოფილონი, მასპინძელთა ძალოსანი ანდრე ფორიი, მაგალითად, ასპარეზობას იმის გამო გამოეთიშა, რომ შხაპის მიღებისას დენმა დაარტყა.

იყო შეფერხებები ტრანსპორტით მომსახურებაშიც. სამაგიეროდ, თამაშებმა კრიმინალური ინციდენტების გარეშე ჩაიარა, არადა, დანაშაულობებით სამხრეთ აფრიკა ერთ-ერთი ყველაზე სახიფათო ქვეყნად ითვლება.



პენი ჰეინსი

ასე იყო თუ ისე, თამაშებმა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტ ხუან ანტონიო სამარანჩისა და ნიგერიის სპორტის მინისტრის დამიში სანგოსგან ქება დაიმსახურა. სანგოს რომ ჰკითხოთ, სამხრეთ აფრიკა მზადაა, ფეხბურთელთა 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატს უმასპინძლოს. ამ დროს კი, შეგახსენებთ, მსოფლიოს ჩემპიონატის სამასპინძლოდ მართლაც რომ იბრძვიან ინგლისი და გერმანია, მაროკო და ბრაზილია კი პრეტენზიას აცხადებენ.

რაც შეეხება თავად სრულიად აფრიკის თამაშებს, შავი კონტინენტის ყველაზე დიდ სპორტულ ღონისძიებად რომ ითვლება, მან 52 ქვეყნის 5000-ზე მეტ სპორტსმენს მოუყარა თავი და 11 დღესაც გასტანა. 71 ოქროს მედლით პირველ ადგილზე მასპინძლები გავიდნენ, სულ კი მათ 184 მედალი მოიპოვეს. 64 ოქროს მედლით მეორე ადგილი ნიგერიელებმა დაიკავეს, მესამეზე კი ეგვიპტელები გავიდნენ 53 ოქროთი.

მართალია, იოჰანესბურგში მსოფლიოს რეკორდები არ დამყარებულა, მაგრამ მთლიანობაში სპორტის არაერთ სახეობაში არცთუ ურიგო შედეგები დაფიქსირდა.

სპორტული მიმომხილველები აღნიშნავენ ცურვაში ორგზის ოლიმპიური ჩემპიონისა და თერთმეტგზის მსოფლიოს რეკორდსმენის, სამხრეთაფრიკელი პენი ჰეინსის წარმატებულ გამოსვლას, მის კოლეგა მენდი ლუტსაც, რომელმაც ექვსი ოქროს მედალი მოიპოვა, ასევე 800 მეტრზე მორბენალ მოზამბიკელ მარია მუტოლას, ჭოკით მხტომელ ოკერტ ბრიტს, მსოფლიოს ჩემპიონს 10 000 მეტრზე რბენაში ეთიოპიელ გეტე ვამს.

თამაშების ბოლო დღეს ფეხბურთში (23 წლამდე) ჩემპიონები გახდნენ კამერუნელები, რომლებმაც პენალტების სერიაში 4:3 დაამარცხეს ზამბიელები.

მომდევნო, მერვე თამაშებს კი 2003 წელს ნიგერია უმასპინძლებს.

**გიგა გურასაშვილი**


პანაფრიკული თამაშების შუბოსანთა ტურნირში ფეხმოკვეთილმა სამხრეთაფრიკელმა ფანი ლომბარდმა გაიმარჯვა




# იან ულრიხი ესპანელთა ალყაში



კრისტიან მორენი

გერმანელი იან ულრიხი „ვუელტას" საერთო ჩათვლაში მეჩვიდმეტე ეტაპის, რომელიც კრისტიან მორენიმ მოიგო, შემდეგაც ლიდერი დარჩა. მართალია მან პელოტონთან ერთად გამარჯვებულთან 16 წუთზე მეტი წააგო, მაგრამ მორენი გუშინდლამდე ტელეკომელს საათით და 38 წუთით ჩამორჩებოდა.

26 წლის იტალიელისთვის, ვინც პროფესიონალი ორიოდ წლის წინ გახდა, ეს პირველი გამარჯვებაა. მან დაახლოებით ათკაციან იერიშში მიიღო მონაწილეობა. ისევე როგორც წინა ორი დღე, ლტოლვილების დევნით პელოტონს თავი არ შეუწუხებია.

დაწინაურებულებს შორის ესპანელი მიკელ სარაბეიტია იყო. მის გარდა შედარებით ცნობილთაგან აქ იტალიელები დავიდე რებელინი და ანდრეა ტაფი იყვნენ. სწორედ ამ უკანასკნელმა, შეუტია ფინიშამდე 13,7 კილომეტრით ადრე. ეტაპის ბოლო მთის მწვერვალზე მისმა უპირატესობამ 10 წამს მიაღწია, მაგრამ ბოლო ხუთ კილომეტრზე მორენიმ გაზარდა სიჩქარე და მისი დაწევა, ესპანელი ქომაგების სამწუხაროდ, ვერც სარაბეიტიამ და ვერც ხოსე გარსია აკოსტამ შეძლეს.

დღეს კი ძნელი ეტაპია, რომელიც აღმართში, პირველი კატეგორიის სიძნელის მთა აბანტოსზე მთავრდება. ულრიხი და „ტელეკომის" სპორტული დირექტორი რუდი პევენაგე ესპანური გუნდების გაერთიანებას უფრთხიან. მასპინძელთაგან სამს, იგორ გონსალეს გალდეანოს (ვიტალიციო), რობერტო ერასს (კელმე) და ხოსე მარია ხიმენესს (ბანესტო) ჯერ კიდევ შერჩათ გერმანელის გასწრების თეორიული შანსი. ერთი სიტყვით, დღეს ბევრი რამ გაირკვევა.

**გაიოზ თალაკვაძე**

**მეჩვიდმეტე ეტაპი**

ლოს ბრონხალესი — გვადალახარა
225 კმ

1. კრისტიან მორენი (იტალია, ლიკიგასი) — 5 სთ 33 წთ 14 წმ
2. ხოსე გარსია აკოსტა (ესპანეთი, ბანესტო) — + 2 წმ
3. მიკელ სარაბეიტია (ესპანეთი, ონსე) — + 2
4. მარიანო პიკოლი (იტალია, ლამპრე) — + 5
5. ანტონიო ტაულერი (ესპანეთი, კელმე) — + 5

**საერთო ჩათვლა**

1. იან ულრიხი (გერმანია, ტელეკომი) — 75 სთ 26 წთ 31 წმ
2. იგორ გონსალეს გალდეანო (ესპანეთი, ვიტალიციო) — + 49 წმ
3. რობერტო ერასი (ესპანეთი, კელმე) — + 2 წთ 35 წმ
4. ხოსე მარია ხიმენესი (ესპანეთი, ბანესტო) — + 3 წთ 35 წმ
5. პაველ ტონკოვი (რუსეთი, მაპეი) — + 3 წთ 45 წმ

# პერდრიქსი იქსის წინააღმდეგ

გუშინ საღამოს საფრანგეთის სამართალდამცავი ორგანოებიდან გამოჟონა ინფორმაციამ, რომ 2 აგვისტოს პარიზის პროკურატურამ ძიება დაიწყო „ბატონი იქსის" დოპინგის გამოყენებაში მონაწილეობის დასადგენად.

საქმე მას შემდეგ აღძრულა, რაც საფრანგეთის ველოსპორტის ფედერაციის პრეზიდენტმა დანიელ ბაალმა იანვარში ექიმ პატრიკ ნედელეკის მიერ აკრძალული ნივთიერებების სპორტსმენებთათვის მიცემის ფაქტებზე ისაუბრა პროკურატურაში. მანდილოსანი პროკურორის შანტალ პერდრიქსის თქმით, ველოსპორტის ზოგიერთი მაღალჩინოსანი გარეულია დოპინგის გავრცელებაში. ეს ცნობა გამოაქვეყნა ფრანგულმა ჟურნალმა „ექსპრესმა", რომლის ბოლო ნომერში ნედელეკის მოკლე ბიოგრაფიაცაა დაბეჭდილი. ეს ექიმი 1982-1994 წლებში „ტურ დე ფრანსის" მონაწილეებს დოპინგ-კონტროლს უტარებდა. 1995 წელს „კასტორამაში", მომდევნო წელს კი „განში" მუშაობდა. ამ გუნდიდან ერთი წლის შემდეგ დაითხოვეს, რადგან მის ორ წევრს — ფილიპ გომონსა და ლორან დებიენს ორგანიზმში მასტიმულირებელი ნივთიერებები აღმოუჩინეს.

მარტში, როცა დანიელ ბაალს საქმე სამართალდამცავებთან ჰქონდა, მან პოლიციელებს მრავალ სხვა დოკუმენტთან ერთად ერთი ანონიმური წერილიც გადასცა. უცნობი ავტორი სახელების მოყვანის გარეშე ამტკიცებდა, რომ ერთ-ერთი პარიზელი ექიმი ველომრბოლელებს დოპინგით ამარაგებდა. „ექსპრესის" ცნობით, ბაალმა პოლიციელებს განუცხადა, რომ ანონიმურ წერილში დასახელებული კრიტერიუმების თანახმად, „მისტერ იქსი" პატრიკ ნედელეკი უნდა ყოფილიყო.

ფრანგული ჟურნალი თვლის, რომ ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს სამაგიეროს გადახდის სურვილთან. როგორც ირკვევა, 1998 წელს გახმაურებული დოპინგ-სკანდალის — „ფესტინას" საქმის გამოძიებისას, ექიმი ნედელეკი სასამართლოში მოწმის სტატუსით გამოიძახეს. მაშინ მან დანიელ ბაალს სპორტის უსაშინლესი სენის წინააღმდეგ ბრძოლის დამუხრუჭებაში დასდო ბრალი.

**გაგი გურული**

# რუსები იგებენ და ბუზღუნებენ

Campionato Europeo Pallavolo femminile ITALIA '99

18-დან 26 წლამდე ტან და სახემაღლიანმა თორმეტმა რუსმა ქალმა იტალიაში მიმდინარე ფრენბურთელ ქალთა ევროპის პირველობაზე მეორე შეხვედრაც მშრალი ანგარიშით, 3:0 მოიგო. რუსებს ამჯერად რუმინელები ემსხვერპლნენ, რამაც ამ უკანასკნელთა მთავარი მწვრთნელი სტან კოშტინელი ფრიად დაამწუხრა. „უკეთესი შედეგი უნდა გვეჩვენებინა, მაგრამ ჩემთვის სრულიად გაუგებარი მიზეზების გამო გოგონები რუსებს შეუშინდნენ, არადა, სამივე პარტიაში წინ ვიყავით" — დაიწუწუნა რუმინელმა. უკმაყოფილონი არიან ჩვენი ჩრდილოელი მეზობლებიც, ოღონდ არა თავიანთი თამაშით, რასაკვირველია. მათ არ მოსწონთ ჩემპიონატის ახალი სისტემა, რომელიც დაკარგული მოწოდების გაუქმებასა და ბურთის ყოველ გათამაშებაზე ქულის დარიცხვას ითვალისწინებს. რუსთა აზრით, სისტემის შეცვლა მხოლოდ ტელევიზიის ინტერესებისთვის გაკეთდა, რათა გადაცემებში მეტი რეკლამის ჩატენვა მოეხერხებინდეს. გარდა ამისა, რუსთა მთავარ დამრიგებელს, ნიკოლაი კარპოლს არც ჩემპიონატის ორგანიზაცია მოსვლია თვალში. მისი თქმით, ზოგ გუნდს აშკარა პრიორიტეტს ანიჭებენ. ლაპარაკია „პარალელურ" მატჩებს შორის გვარიანი შუალედების არსებობაზე, რაც თამაშების შედეგებით მანიპულირების საშუალებას იძლევა. საერთოდ კი კარპოლს საბუზღუნო რა აქვს: მისი გუნდი უკვე ნახევარფინალშია, ისევე როგორც მასპინძლები. იტალიელებმა რუმინელებს გუშინ ჰოლანდიელებიც მიაყოლეს და Ფ ჯგუფში დარჩენილ ორ თამაშს, იტალია — რუსეთი და ჰოლანდია — რუმინეთი ფორმალური ხასიათიღა შერჩა, რასაც B ჯგუფზე ვერ ვიტყვით. აქ ჯერჯერობით მხოლოდ ხორვატებმა გაიხარეს ჯგუფური ბარიერის გადალახვით, როცა პოლონელებს უმძიმესი მატჩი მოუგეს. მატჩის ანგარიში თითქოს ხორვატთა აშკარა უპირატესობაზე მეტყველებს — 3:0, მაგრამ ახლა პარტიების ანგარიშებს შეხედეთ და კომენტარი თქვენზე იყოს — 26-24, 26-24, 25-23. მეორე ნახევარფინალისტის ვინაობა პოლონელების, გერმანელებისა და ბულგარელების დავაში დღეს უნდა გაირკვეს.

**დავით გულუა**



იტალია — ჰოლანდია. ჰოლანდიელებმა იტალიელ სილვია რინიერის ვერ დაუფარეს

**სატურნირო ვითარება**

**A ჯგუფი. რომი**

II ტური

იტალია — ჰოლანდია 3:1 (25:17, 22:25, 25:19, 25:17)
რუმინეთი — რუსეთი 0:3 (17:25, 18:25, 20:25)

| | მ | წ | ქ | პარტიები |
|---|---|---|---|---|
| 1 რუსეთი | 2 | 0 | 4 | 6:0 |
| 2 იტალია | 2 | 0 | 4 | 6:2 |
| 3 რუმინეთი | 0 | 2 | 2 | 1:6 |
| 4 ჰოლანდია | 0 | 2 | 2 | 1:6 |

**B ჯგუფი. პერუჯა**

II ტური

ხორვატია — პოლონეთი 3:0 (26:24, 26:24, 25:23)
ბულგარეთი — გერმანია 3:1 (25:22, 25:21, 21:25, 25:21)

| | მ | წ | ქ | პარტიები |
|---|---|---|---|---|
| 1 ხორვატია | 2 | 0 | 4 | 6:0 |
| 2 გერმანია | 1 | 1 | 3 | 4:5 |
| 3 ბულგარეთი | 1 | 1 | 3 | 3:4 |
| 4 პოლონეთი | 0 | 2 | 2 | 2:6 |

ავტორბოლა

# ისევ: შუმი ბრუნდება?

ეს ჯერაც საკითხავია. 7 ოქტომბერს „ფერარის" ავტოდრომზე დაგეგმილი ტესტური რბოლები გადაწყვეტს, შეძლებს თუ არა ბრიტანეთის დიდ პრიზზე ფეხმომტვრეული გერმანელი წლეულსვე დაუბრუნდეს ფორმულა 1-ს და ბოლო ორ რბოლაში, მალაიზიასა და იაპონიაში მაინც მიუჯდეს საჭეს. „ფერარის" წარმომადგენლის, ჰაინერ ბუჰინგერის განცხადებით, ყველაფერს სწორედ ტესტური რობლები გაარკვევს.



მიხაელ შუმახერი

# კულჰარდმა, ჯერ თავო და თავოო...



დევიდ კულჰარდი და მიკა ჰაკინენი

შოტლანდიელმა დევიდ კულჰარდმა, ვისაც მკითხველი სახელგანთქმული „მაკლარენის" მეორე ნომრად იცნობს, ჟურნალისტებთან ერთი ოპტიმისტური განცხადება გააკეთა. საქმე ეხებოდა გავრცელებულ ინფორმაციას, „მაკლარენის" თავი რონ დენისი კვირას, გერმანიის ქალაქ ნიუბურგრინგში გასამართ ევროპის დიდ პრიზზე შოტლანდიელს პირველი ნომრის, ფინელი მიკა ჰაკინენის ხელშეწყობას და აქედან გამომდინარე, საკუთარი საჩემპიონო ამბიციების დასამარებას უბრძანებსო. „არა მგონია, ასეთი რამ მოხდეს — თქვა კულჰარდმა — მე კიდევ გავიბრძოლებ ჩემპიონის ტიტულისთვის, თუმცა ჩემი შანსები მოკრძალებულია, მიკა ხომ 12 ქულით მისწრებს. აი, ნიუბურგრინგშიც თუ მიკამ მაჯობა, ასეთი ბრძანების გაცემა ალბათ უკვე სრულიად სამართლიანი იქნება." კულჰარდმა ჰაკინენთან მის ურთიერთობებზეც ილაპარაკა და განაცხადა, მასთან, როგორც პარტნიორთან, პრობლემები არ მაქვს, ხოლო თუ რბოლებზე ერთმანეთს შეუპოვრად ვეპაექრებით, ეს სავსებით ლოგიკურია და თანაც ყველაფერი პატიოსნების ფარგლებში ხდებაო.

**დავით გულუა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ევროლიგა 1999-2000: მონაწილენი

EURO LEAGUE ევროლიგა **A ჯგუფი** ევროლიგა EURO LEAGUE

## შოლე

შოლე, საფრანგეთი

| | | | |
|---|---|---|---|
| **უკანა ხაზი** | | | |
| რენდოლფ ჩაილდრესი | 187 | 1972 | აშშ |
| ერიკ მიკუ | 185 | 1973 | საფრანგეთი |
| ეიმერიკ ჟანო | 185 | 1978 | საფრანგეთი |
| **ფორვარდები** | | | |
| რონ დე ჰეიესი | 197 | 1970 | აშშ |
| დავიდ გოტიე | 202 | 1980 | საფრანგეთი |
| ჯონათან კარავალია | 204 | 1974 | აშშ-იტალია |
| ნერსის ევოდო | 204 | 1972 | კამერუნი-საფრ. |
| ოლივიე ბარდე | 200 | 1980 | საფრანგეთი |
| **ცენტრები** | | | |
| კლოდ მარკი | 202 | 1980 | საფრანგეთი |
| ერიკ ბილონი | 206 | 1972 | საფრანგეთი |
| სედრიკ მილერი | 208 | 1964 | საფრანგეთი |
| ფაბიენ დიუბო | 207 | 1977 | საფრანგეთი |

**მწვრთნელი: ერიკ ჟირარი**

## ცრვენა ზვეზდა

ბელგრადი, იუგოსლავია

| | | | |
|---|---|---|---|
| **უკანა ხაზი** | | | |
| საშა ობრადოვიჩი | 196 | 1969 | იუგოსლავია |
| დრაგან ლუკოვსკი | 191 | 1974 | იუგოსლავია |
| იგორ რაკოჩევიჩი | 189 | 1978 | იუგოსლავია |
| ზლატკო ბოლიჩი | 195 | 1974 | იუგოსლავია |
| მილოშ ვუიანიჩი | 189 | 1980 | იუგოსლავია |
| **ფორვარდები** | | | |
| გორან ბოშკოვიჩი | 200 | 1972 | იუგოსლავია |
| ვლადიმირ რადმანოვიჩი | 207 | 1980 | იუგოსლავია |
| იევე სტანოევიჩი | 207 | 1977 | იუგოსლავია |
| **ცენტრები** | | | |
| ნიკოლა იესტრატიევიჩი | 212 | 1976 | იუგოსლავია |
| ვლადიმირ ტიცა | 206 | 1980 | იუგოსლავია |
| ჟელკო ტოპალოვიჩი | 208 | 1972 | იუგოსლავია |

**მწვრთნელი: იოვიცა ანტონიჩი**

## ცსკა

მოსკოვი, რუსეთი

| | | | |
|---|---|---|---|
| **უკანა ხაზი** | | | |
| გუნდარს ვეტრა | 197 | 1967 | ლატვია |
| ვლადან ალანოვიჩი | 194 | 1967 | ხორვატია |
| ვასილი კარასიოვი | 192 | 1971 | რუსეთი |
| იგორ კუდელინი | 196 | 1973 | რუსეთი |
| **ფორვარდები** | | | |
| სერგეი პანოვი | 203 | 1971 | რუსეთი |
| ვალერი ტიხონენკო | 208 | 1964 | ყაზახ.-რუსეთი |
| ანდრეი კირილენკო | 202 | 1981 | რუსეთი |
| დმიტრი დომანი | 200 | 1977 | რუსეთი |
| ალექსეი სავკოვი | 195 | 1979 | რუსეთი |
| **ცენტრები** | | | |
| ვალერი დაინეკო | 210 | 1971 | ბელარუსი |
| გინტარას ეინიკისი | 208 | 1970 | ლიტვა |
| მატე სკელინი | 212 | 1974 | ხორვატია |

**მწვრთნელი: სტანისლავ ერიომინი**

## ბარსელონა

ბარსელონა, ესპანეთი

| | | | |
|---|---|---|---|
| **უკანა ხაზი** | | | |
| ენტონი გოლდვაიერი | 186 | 1972 | აშშ |
| იგნასიო როდრიგესი | 188 | 1970 | ესპანეთი |
| ხუან კარლოს ნავარო | 193 | 1980 | ესპანეთი |
| **ფორვარდები** | | | |
| ალენ დიგბო | 196 | 1975 | საფრანგეთი |
| როდრიგო დე ლა ფუენტე | 199 | 1976 | ესპანეთი |
| პაულ გასოლი | 214 | 1980 | ესპანეთი |
| მილან გუროვიჩი | 207 | 1976 | იუგოს.-საბერძ. |
| **ცენტრები** | | | |
| დერიკ ალსტონი | 210 | 1972 | აშშ |
| ეფტიმიოს რენციასი | 213 | 1976 | საბერძნეთი |
| რობერტო დუენიასი | 218 | 1976 | ესპანეთი |
| ფრანსისკო ელსონი | 213 | 1976 | ჰოლანდია |
| ალფონსო ალსამორა | 208 | 1979 | ესპანეთი |

**მწვრთნელი: აიტო გარსია რენესესი**

## პაოკ

სალონიკი, საბერძნეთი

| | | | |
|---|---|---|---|
| **უკანა ხაზი** | | | |
| ბრანისლავ პრელევიჩი | 194 | 1966 | იუგოს.-საბერძ. |
| სერგეი ბაზარევიჩი | 188 | 1965 | რუსეთი-საბერძ. |
| კლაუდიო კოლდებელა | 198 | 1968 | იტალია |
| ნიკოს ვეტულასი | 190 | 1974 | საბერძნეთი |
| სოტირის ნიკოლაიდისი | 185 | 1974 | საბერძნეთი |
